საჯარო ბიბლიოთეკა თბილისი

მშრომელთა ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК и ТК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 35-ე წელი № 118 (10204) | პარასკევი, 20 მაისი, 1955 წ. | ფასი 20 კაპ.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტროს ცნობა

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო სესხი (1955 წლის გამოშვება), რომელიც გამოშვებულია 32 მილიარდი მანეთის რაოდენობით, 18 მაისის დღის გოლოსათვის გავრცელდა 34 მილიარდი 276 მილიონი 973 ათასი მანეთის რაოდენობით.

სსრ კავშირის ფინანსთა სამინისტრომ სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მითითების საფუძველზე განაკარგადა 1955 წლის 20 მაისიდან ყველგან შეწყვიტონ სესხზე შევდგომი ხელმოწერა.

სსრ კავშირის ფინანსთა მინისტრი ა. ზვერევი.

1955 წლის 19 მაისი.

რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმისა და სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს მეორე სესიის გადაწყვეტილებებით შეიარაღებული საბჭოთა ადამიანები თავდადებით იბრძვიან ჩვენი სახალხო მეურნეობის ყველა დარგის, ხოლო უწინარეს ყოვლისა მისი წამყვანი და მთავარი დარგის — მძიმე მრეწველობის შემდგომი სწრაფი განვითარებისათვის.

ამ ბრძოლაში კომუნიზმის მშენებელთა მილიონიან მასებს აღფრთოვანებს იმის შეგნება, რომ მძიმე მრეწველობის, როგორც ქვეყნის ეკონომიური ცხოვრების საფუძველთა საფუძვლის უპირატესი განვითარება თავის მხრივ უზრუნველყოფს სახალხო მეურნეობის ყველა სხვა დარგის სწრაფ აღმავლობას, მოსახლეობის მატერიალურ-კულტურული კეთილდღეობის გადაჭრით გაუმჯობესებას, ჩვენი სამშობლოს თავდაცვითი ძლიერების შემდგომ განმტკიცებას.

პარტია და მთავრობა ახლა ჩვენი მძიმე მრეწველობის მუშაკთა წინაშე უაღრესად პასუხსაგებ სამრეწველო ამოცანებს აყენებენ: არ დაეჯერდეთ მიღწეულს, არამედ მეტი ყურადღება მიგაქციოთ გადაუჭრელ ამოცანებს და ნაკლოვანებათა აღმოფხვრას, დაენერგოთ წარმოებაში მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევები, მოწინავე გამოცდილება, განვახორციელოთ ყველგან შრომატევად სამუშაოთა კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, უკეთესად გამოვიყენოთ არსებული მოწყობილობა და საწარმოო ფართობები, განვამტკიცოთ სახელმწიფო დისციპლინა, რათა უზრუნველვყოთ საგეგმო დავალებათა გადაჭარბებით შესრულება, გავაუმჯობესოთ წარმოების ორგანიზაცია და ამით შევქმნათ შრომის ნაყოფიერების შეუნელებელი ზრდის საფუძველი, აღვკვეთოთ ჩამორჩენა შრომის დანორმვაში და ა. შ.

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირმა დაამთავრა მუშაობა. თათბირზე ვრცელი სიტყვით გამოვიდა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველი მდივანი ამხანაგი **ნ. ს. ხრუშჩოვი**, რომელმაც საბრძოლო ამოცანები დასახა ჩვენი ქვეყნის მრეწველობის შემდგომი აღმავლობის უზრუნველსაყოფად.

ჩვენი რესპუბლიკის მძიმე მრეწველობის მთელ რიგ დარგებში და გადამწყვეტ უბნებზე, მიუხედავად არსებითი მნიშვნელობის მიღწევებისა, შემდგომი აღმავლობისათვის ბრძოლა ჯერ კიდევ არ არის გაჩაღებული სრული სიმძლავრით, ამ ბრძოლის ფრონტზე ჯერ კიდევ მოგვეპოვება სუსტი უბნები.

ქვანახშირის მრეწველობა მძიმე ინდუსტრიის მნიშვნელოვანი დარგია. ამ დარგში კი რესპუბლიკის ქვანახშირის სამრეწველო რაიონებში ყველაფერი ვერ არის რიგზე. მაგალითად, ტყვარჩელქვანახშირის ტრესტმა წელს უკეთესად დაიწყო მუშაობა, ვიდრე შარშან, მაგრამ ამ ტრესტის ხელმძღვანელებს აღარ ეყოთ უნარი იმისათვის, რომ მასების საწარმოო აქტივობას ენერგიულად ჩასდგომოდნენ სათავეში, ამის შედეგად ბოლო დროს შენელდა ბრძოლა მეტი ქვანახშირისათვის. ტრესტის ორმა შახტმა მარტო აპრილში სახელმწიფოს მრავალი ათასი ტონა ქვანახშირი დააკლო.

ტყვარჩელში სუსტად იბრძვიან შრომის ნაყოფიერების დარგში დავალებათა შესრულებისათვის, მექანიზმების სრული დატვირთვით გამოყენებისათვის. ეს უმთავრესად შრომის მოუწესრიგებლობის, საწარმოო დისციპლინის სისუსტის შედეგია. ამ ტრესტის ყველაზე ჩამორჩენილ მეორე შახტში ქვანახშირის ორივე კომბაინი გამოუყენებელია. შრომის დისციპლინის დაბალი დონის გამო ამ შახტში წელს იანვრიდან 1 აპრილამდე 366 კაც-დღე გაცდა.

მექანიზმების გაცდენას, წარმოებისადმი მოუქნელი ხელმძღვანელობას და ქვანახშირის მოპოვების პროგრესული მეთოდის — ჰიდრავლიკური ვსების მეთოდის დანერგვის შეუფასებლობას ადგილი აქვს ტყიბულის შახტებშიც.

შავი მეტალურგიის ისეთ დიდ და ტექნიკის უახლეს მიღწევათა მიხედვით მოწყობილ საწარმოში, როგორიც სტალინის სახელობის ამიერკავკასიის მეტალურგიული ქარხანაა, წარმოების შემდგომი აღმავლობისათვის, მეტი ლითონისათვის ბრძოლას მრავალი არსებითი ნაკლი ახასიათებს. საბრძმედე საამქროში, სადაც განხორციელებულია ყველა შრომატევად სამუშაოთა მექანიზაცია, საქმე ხშირად ფერხდება იმის გამო, რომ საკაზმე ეზოში, საიდანაც ბრძმედს კაზმი უნდა მიაწოდონ, მექანიზმები კარგად არ არის გამართული. მოუწესრიგებელია რუსთავში მეფოლადეთა შრომის ანაზღაურების საკითხი, რაც აფერხებს შრომის ნაყოფიერების ზრდას და იწვევს მეფოლადეთა დაუინტერესებლობას ჩქაროსნულ დნობათა განხორციელებით.

დიდ ნაკლოვანებებს ვხედებით ჩვენს მანქანათმშენებელ და ჩარხმშენებელ ქარხნებშიც. ისეთ მოწინავე საწარმოშიც კი, როგორიც თბილისის კიროვის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხანაა, ახალი ტექნიკის დანერგვისათვის, ტექნიკური პროგრესის გზაზე ახალი მიღწევების მოპოვებისათვის ბრძოლა სუსტად წარმოებს. გასული წლის ბოლოს ამ ქარხანაში მიიღეს შესანიშნავი ახალი დანადგარი, ე. წ. ჰორიზონტალურად-საჭედი მანქანა, რომლის დაუყოვნებლივ გამართვა და ამუშავება ჩარხმშენებლებს ბევრად გაუადვილებდა გეგმის გადამეტებით ჩარხების გამოშვებას. ეს დანადგარი კი ჯერაც არ არის გამართული.

მძიმე მრეწველობის განვითარების ახალ საფეხურზე აყენა უწინარეს ყოვლისა მოითხოვს საწარმოებისადმი სამეურნეო ხელმძღვანელობის მეთოდის გაუმჯობესებას, საწარმოს მუშაობის ყველა უბნისა და დარგისადმი ყურადღების გამახვილებას. განა დასაშვებია; როცა გეგმის რიცხობრივი მაჩვენებლების მიხედვით შესრულებისათვის პროდუქციის თვითღირებულება დიდდება, ხელფასის ფონდის გადახარჯვა ხდება და ა. შ. საჭიროა ისე მოვაწყოთ საქმე, რომ გეგმის გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად სხვა მაღალი მაჩვენებლებიც გვქონდეს. შრომის ნაყოფიერების ზრდა, საწარმოს მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების საკითხების მოწესრიგება, შრომის დისციპლინის სიმტკიცე ქმნის იმ წინაპირობებს, რომლებიც უზრუნველყოფენ საწარმოს შემდგომ წინსვლას.

საჭიროა დაუყოვნებლივ მძიმე ინდუსტრიის ყველა მუშაკი ჩავაბათ მრეწველობის მუშაკთა საკავშირო თათბირის მიერ დასახული ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლაში, უზრუნველვყოთ თათბირის მიერ შემუშავებული ღონისძიებების უმოკლეს ვადაში და მაღალხარისხოვნად განხორციელება.

მძიმე ინდუსტრიის საწარმოთა პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები, უწინარეს ყოვლისა სამეურნეო მუშაკები მოვალენი არიან მასების შემოქმედებითი აზრი და შრომითი ენერგია წარმართონ მძიმე მრეწველობის შემდგომი სწრაფი აღმავლობის, ტექნიკური პროგრესის გზით — ასეთია ამოცანა.

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

18 მაისს კრემლის დიდ სასახლეში მუშაობას განაგრძობდა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი.

სიტყვა ეძლევა პეტროზავოდსკის ახალი მილის ქარხნის (სვერდლოვსკის ოლქი) ოსტატს ამხ. **ჩურსინოვს**. მან ილაპარაკა, თუ როგორ იბრძვის მისი ბრიგადა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისათვის. თვითეულმა მუშამ კარგად იცის თავისი მოვალეობა და უნარიანად ასრულებს მას. მგლინავებმა იციან საზეინკლო საქმე და აწარმოებენ ზოგიერთ სარემონტო სამუშაოს, რასაც წინათ ზეინკალთა სპეციალური ბრიგადა ასრულებდა.

ჩვენს ქარხანაში, ამბობს ამხ. ჩურსინოვი, ჯერ კიდევ ძალიან დიდია წუნი. დიდია არა იმიტომ, რომ ჩვენ არ ვეზრძვით მას, არამედ იმიტომ, რომ ხშირად არ ვიცით, როგორ აღმოვფხვრათ იგი. ჩვენ გვესაჭიროება სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტების სეიროზული დახმარება ახალი ტექნოლოგიის შემუშავებაში. საჭიროა ისეთი საკონტროლო საზომი აპარატურა, რომელიც მილების ხარისხს კონტროლს გაუწევს მათი გაგლინვის პროცესში. საჭიროა რაც შეიძლება მალე მოხდეს საგლინავი დგანების, გამოსაყვანი მოწყობილობის მუშაობის ავტომატიზაცია, დაინერგოს მილების ნაკადური დამუშავება გამოყვანისას.

სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ამხ. **ემელიანოვი** ამბობს, თუ რა დიდი შესაძლებლობა შეიქმნა იმისათვის, რომ სრულყოფილ სამრეწველო წარმოება საბჭოთა კავშირის მიღწევებთან დაკავშირებით მშვიდობიანი მიზნით ატომის ენერგიის გამოყენების საქმეში. საფუძველი ჩაეყარა არა მარტო ახალ ენერგეტიკას, არამედ შეიქმნა შესაძლებლობა, რომ ვაკეთოთ და გამოვიყენოთ სხვადასხვაგვარი რადიაქტიური იზოტოპები, მაგალითად, კუბიშევის, გორკისა და სტალინგრადის ელექტროსადგურთა მშენებლობაზე იყენებენ რადიაქტიურ კობალტიან ხელსაწყოებს მიწისმოძრაობებზე, რამაც შესაძლებელი გახადა მანქანების წარმადობის ოცი პროცენტით გადიდება. იზოტოპების ფართოდ გამოყენება იწვევს მრავალი ტექნოლოგიური პროცესის ძირეულად შეცვლას, იძლევა იმის საშუალებას, რომ ახალ მეცნიერულ პრინციპებზე შეიქმნას აპარატურა და ხელსაწყოები.

ქიმიური მრეწველობის მინისტრმა ამხ. **ტიხომიროვმა** აღნიშნა, რომ მძიმე ინდუსტრიის ამ დიდმნიშვნელოვან დარგში, რომელმაც ერთგვარ წარმატებებს მიაღწია, ჯერ კიდევ არის დიდი ნაკლოვანებანი. სახალხო მეურნეობის მოთხოვნილება მრავალი სახეობის ქიმიურ პროდუქციაზე მთლიანად ვერ კმაყოფილდება. მიუხედავად იმისა, რომ სასუქებისა და შხამქიმიკატების წარმოება ამ უკანასკნელ წლებში გადიდდა, სოფლის მეურნეობა ვერ იღებს მათ საჭირო რაოდენობით. საკმაოდ არ უშვებენ სალტეებს საავტომობილო მრეწველობისათვის, პლასტმასებს. საჭიროა მნიშვნელოვნად გაუმჯობესდეს ცალკეულ სახეობათა პროდუქციის ხარისხი.

ამხ. ტიხომიროვმა მოიყვანა მთელი რიგი მაგალითები, რომლებიც მოწმობენ, თუ რა დიდი რეზერვებია ქიმიურ მრეწველობაში წარმოების სიმძლავრისა და პროდუქციის გამოშვების გასადიდებლად. ეს რეზერვები რომ ავამოქმედოთ, ამისათვის ამ საქმეში უნდა ჩავაბათ რაც შეიძლება მეტი ინჟინერი, ტექნიკოსი და წარმოების მოწინავე.

მოსკოვის სერგო ორჯონიკიძის სახელობის ჩარხმშენებელი ქარხნის ნოვატორმა მრანდავმა ამხ. **ლავრენტიევმა** განაცხადა, რომ ამ საწარმოს მუშებმა და ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა ამ უკანასკნელ ხანს შეიტანეს 150-ზე მეტი წინადადება, რომელთა მიზანია ქარხნის მუშაობის გაუმჯობესება. მუშები განსაკუთრებით სერიოზულ მნიშვნელობას ანიჭებენ არსებული ჩარხების მოდერნიზაციას. თუ რამდენად ეფექტიანია ეს, ამას ის ფაქტი მოწმობს, რომ მარტო ორი სარანდავი ჩარხის მოდერნიზაციამ ერთიორად გაადიდა მათი სიჩქარე. ქარხნის კონსტრუქტორებმა რაციონალიზაციის წესით შექმნეს სახარატო ჩარხების ჰიდროგადასაღები მოწყობილობა, რაც საშუალებას იძლევა ერთიორად-ერთიასამად უფრო სწრაფად დაამუშაონ ყოველ სახარატო ჩარხზე საფეხურიანი ლილვაკები და ფასონური დეტალები.

შემდეგ ამხ. ლავრენტიევმა გაუზიარა დამსწრეთ ქარხნის მრანდავთა მუშაობის გამოცდილება შრომის ნაყოფიერების გადიდებაში.

მეტალურგიული ქარხნების საპროექტო ინსტიტუტის სექტორის უფროსმა ამხ. **ანდონიევმა** საპროექტო ინსტიტუტების მუშაობის ორგანიზაციის საკითხებს მიუძღვნა თავისი გამოსვლა. შავი მეტალურგიის საპროექტო ინსტიტუტები, თქვა მან, თითქმის არ უკეთებენ ანალიზს წარმოებას, რის გამო ყველა გაუმჯობესება ღუმელთა კონსტრუქციის დარგში თვითონ ქარხნებს შეაქვთ. საჭიროა საპროექტო ინსტიტუტები რეორგანიზებულ იქნან საპროექტო-საკვლევ ინსტიტუტებად, რომლებიც მოვალენი არიან ანალიზი გაუკეთონ და კონტროლი გაუწიონ მათ მიერ შექმნილი აგრეგატების მუშაობას.

ზლატოუსტის მეტალურგიული ქარხნის დირექტორმა ამხ. **პერცევმა** აღნიშნა სსრ კავშირის შავი მეტალურგიის სამინისტროს მუშაობის ნაკლოვანებანი. სამინისტროს არა აქვს მუდმივი ურთიერთობა ქარხნების ხელმძღვანელებთან. მან უნდა შეკრიბოს საწარმოთა დირექტორები, ინჟინრები, წარმოების მოწინავეები იმ უმნიშვნელოვანესი ამოცანების განსახილველად, რომლებიც დგას სამინისტროს და ცალკეული ქარხნების წინაშე.

ორატორს ნორმალურად არ მიაჩნია, რომ ზლატოუსტის ქარხანა უშვებს ორასზე მეტი მარკის ფოლადს და დატვირთულია მცირე მოცულობის დაკვეთებით, რომლებიც ძლიერ ართულებს წარმოებას. ამხ. პერცევი ამბობს, რომ მეტალურგიულ საწარმოებში ნელა ინერგება ტექნიკური სიახლეები.

ფართო მოხმარების საქონლის მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარემ ამხ. **ნეფედოვამ** ილაპარაკა, თუ რა მონაწილეობას იღებენ პროფკავშირული ორგანიზაციები მრეწველობის შემდგომი აღმავლობისათვის მუშაობაში. საფაბრიკო-საქარხნო კომიტეტებმა სამეურნეო ხელმძღვანელებთან ერთად გასწიეს დიდი ორგანიზატორული მუშაობა, რომლის მიზანია შრომის ნაყოფიერების გადიდება, საწარმოთა საქმიანობის გაუმჯობესება. ორატორი აღნიშნავს მოწინავე გამოცდილების პრომაგანდისა და დანერგვის ნაკლოვანებებს. საწარმოებში ამ საკითხს, როგორც წესი, განაგებენ კადრების დარგის მუშაკები ან შრომის განყოფილებები, ხოლო წარმოების მუშაკები — საამქროს უფროსები, ტექნოლოგები, ლაბორატორიათა ინჟინრები — ხშირად განზე რჩებიან. ცუდად არის მოწყობილი მოწინავე საწარმოთა გამოცდილების გადაცემა ჩამორჩენილებისათვის.

ამხ. ნეფედოვამ სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი მიუძღვნა მუშა ქალების შრომისა და ყოფაცხოვრების საკითხებს.

თათბირზე სიტყვა წარმოთქვა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ამხანაგმა **ნ. ს. ხრუშჩოვმა**, რომელსაც დამსწრენი გულთბილად შეხვდნენ.

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

სანამ ჩემს შენიშვნებს გამოვთქვამდე ჩვენი მრეწველობის მუშაობის საკითხებზე, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — მინდა მოვიყვანო ზოგიერთი ციფრი და ფაქტები, რომლებიც ახასიათებენ სოფლის მეურნეობაში არსებულ მდგომარეობას. პარტიის გადაწყვეტილებებს სოფლის მეურნეობისა აღმავლობის შესახებ განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს. ყველა საფუძველი მოგვეპოვება ვიფიქროთ, რომ ამოცანები, რომლებიც პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა, გადაწყდება არა ექვს წელიწადში, როგორც ეს ნავარაუდევია, არამედ სამ-ოთხ წელიწადში. **(ხანგრძლივი ტაში).**

აი რამდენიმე ციფრი მარცვლეულის მეურნეობის შესახებ. ცნობილია, რომ მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობა და ამ ბაზაზე მეცხოველეობის აღმავლობა მთავარი ამოცანაა, რომელიც დასახულია ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებებში.

გეგმა ითვალისწინებს, რომ მარცვლეულის ნათესი მიმდინარე წელს 1953 წელთან შედარებით გადიდდეს 18 მილიონ 587 ათასი ჰექტარით. მაგრამ დარწმუნებული ვარ, რომ კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ცოტაოდენ კორექტივს შეიტანენ ამ გეგმაში იმ მხრივ, რომ გაადიდონ იგი. გეგმა უდავოდ გადაჭარბებით შესრულდება. ჩვენში შარშან დასახული იყო 13 მილიონი ჰექტარი ყამირი და ნასვენი მიწის მოხვნა, ნამდვილად კი მოხნულ იქნა 17 მილიონ ჰექტარზე მეტი.

თუ ამას დავუმატებთ ორ მილიონ ჰექტარ გაზაფხულის ხნულს, ეს იმას ნიშნავს, რომ მარტო ყამირის ათვისების გზით დაითესება დაახლოებით 20 მილიონი ჰექტარი. თუ ჰექტარზე მხოლოდ 60 ფუთი მარცვლეული ავიღეთ, ჩვენი ქვეყანა დამატებით მიიღებს 1 მილიარდ 200 მილიონ ფუთ პურს. ეს პატარა ციფრი როდია იმის დამატებით, რაც წინათ გვქონდა. და ეს უნდა გვახარებდეს.

რის მეოხებით შევძელით ასე მალე გაგვედიდებინა ნათესი ფართობები და მტკიცე საძირკველი ჩაგვეყარა მარცვლეულის მეურნეობის აღმავლობისათვის? იმის მეოხებით, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — რომ ჩვენმა მძლავრმა სოციალისტურმა ინდუსტრიამ კარგი მანქანების საკმაო რაოდენობით აღჭურვა ყამირი მიწების ათვისების რაიონები. ეს შესაძლებელი გახდა ჩვენი მუშათა კლასის, ჩვენი კოლმეურნე გლეხობის გმირული შრომის მეოხებით, იმის მეოხებით, რომ კომკავშირმა პარტიის მოწოდებით მრავალ ათასობით თავისი საუკეთესო ადამიანი გაგზავნა ყამირ მიწებზე.

მიუხედავად იმისა, რომ წელს გაზაფხული გვიან დადგა, საგაზაფხულო თესვა გაცილებით უკეთ მიმდინარეობს, ვიდრე შარშან. 15 მაისისათვის ჩვენი ქვეყნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში დათესილია: მარცვლეული 16 მილიონ 300 ათასი ჰექტარით მეტი, აქედან ხორბალი 11 მილიონ 750 ათასი ჰექტარით მეტი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის.

ჩვენში მკვეთრად ფართოვდება სიმინდის ნათესი. კოლმეურნეობები და საბჭოთა მეურნეობები ამ საქმეში დიდ აქტივობას იჩენენ, ხოლო მათს აქტივობაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული. პრაქტიკით დამტკიცებულია, რომ სიმინდი მეცხოველეობის აღმავლობის მძლავრი საშუალებაა.

სიმინდის თესვა წელს დიდი მასშტაბით და ძლიერი ტემპით მიმდინარეობს. განზრახულია დაითესოს 16 მილიონი ჰექტარი სიმინდი ნაცვლად 1954 წლის 3,5 მილიონი ჰექტარისა. 15 მაისისათვის დათესილია 4,5 მილიონი ჰექტარით მეტი სიმინდი, ვიდრე შარშან ამ თარიღისათვის.

მეტწილ რაიონებში კლიმატური პირობები წელს კარგია, ყველგან საკმარისია ტენი. თუ რაიმე მოულოდნელი გარემობა არ წარმოიშვა (ბუნებაში კი ეს იშვიათად როდი ხდება), ყველა საფუძველი გვაქვს, რომ წელს კარგ მოსავალს მოველოდეთ.

ზოგიერთი შედეგი მეცხოველეობის დარგშიც არის. მონაცემები გვიჩვენებენ, რომ საერთო წველადობა ამ უკანასკნელ 7 თვეში 840 ათასი ტონით ანუ 29 პროცენტით გადიდდა 1953-54 წლის ამავე პერიოდთან შედარებით და 1 მილიონ 424 ათასი ტონით ანუ 60 პროცენტით 1952-1953 წელთან შედარებით. 1955 წლის 10 მაისისათვის დამზადებული და შესყიდულია 22 პროცენტით მეტი რძე, ვიდრე 1954 წელს იმავე თარიღისათვის.

ეს მიღწევა იმის შედეგია, რომ პარტიამ შეძლო გაეძლიერებინა კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესება მეცხოველეობის განვითარებით, გზა გაეხსნა მათი ინიციატივისათვის, პარტიული ორგანიზაციების ყურადღება მიეპყრო სოფლის მეურნეობის განვითარებისათვის, განემტკიცებინა კადრებით მანქანა-ტრაქტორთა სადგურები.

— მარცვლეულის მეურნეობისა და მეცხოველეობის ეს მონაცემები, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — იმას მოწმობენ, რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის გადაწყვეტილებანი წარმატებით ხორციელდება. ეს, რასაკვირველია, იმას არ ნიშნავს, რომ ახლა შეიძლება შევანელოთ ყურადღება სოფლის მეურნეობისადმი და თვითდინებას მივანდოთ საქმე. ჩვენ კვლავაც უნდა გამოვიჩინოთ შეუპოვრობა სოფლის მეურნეობის აღმავლობისათვის ბრძოლაში, ვაუმჯობესოთ საქმის ორგანიზაცია და წინ წავწიოთ იგი. ჩვენი მიზანია მივაღწიოთ ისეთ მდგომარეობას, რომ სოციალისტური სოფლის მეურნეობა უხვად უზრუნველყოფდეს მოსახლეობას კვების პროდუქტებით, ხოლო მრეწველობას ნედლეულით. ჩვენ ყველა შესაძლებლობა მოგვეპოვება ამ ამოცანის გადასაწყვეტად.

ამხანაგი ხრუშჩოვი შემდეგ ეხება მრეწველობის საკითხებს.

მტრებს შეუძლიათ თქვან, რომ რაკი ჩვენ ასე ფართოდ განვიხილავთ მრეწველობის საკითხებს, მაშასადამე, ჩვენში დიდი სიძნელეებია, რომ მრეწველობაში კარგი მდგომარეობა არ არის. ეს, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ შეესაბამება. ჩვენ უკეთესი გვინდა, უკეთესს კი საზღვარი არა აქვს. ამიტომ ჩვენ რეგულარულად დავაყენებთ და განვიხილავთ სახალხო მეურნეობის განვითარების ამა თუ იმ საკითხს.

როგორ მუშაობს ჩვენი მრეწველობა? იგი წარმატებით მუშაობს. ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ მეხუთე ხუთწლიანი გეგმა გადაჭარბებით შესრულდება. რას მოწმობს ეს? ეს მოწ-

(დასასრული მე-2 გვერდზე).

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის პრეზიდენტს

ამხანაგ ხო ში მინს

ძვირფასო ამხანაგო ხო ში მინ!

თქვენი დაბადების დღის გამო გულითადად მოგილოცავთ და გისურვებთ ძალღონესა და ჯანმრთელობას თქვენი თავისუფლებისმოყვარე სამშობლოს ერთიანობის, ეროვნული დამოუკიდებლობისა და აყვავებისათვის ბრძოლაში. სულით და გულით გისურვებთ აგრეთვე წარმატებებს თქვენს კეთილშობილურ მუშაობაში მშვიდობის საკეთილდღეოდ.

კ. ვოროშილოვი,
სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარე.

1955 წ. 18 მაისი

★ ★ ★

ძვირფასო ამხანაგო ხო ში მინ!

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი თქვენი დაბადების 65-ე წლისთავზე მხურვალე, ძმურ სალამს გიძღვნით და ჯანმრთელობას გისურვებთ თქვენ — ვიეტნამის მშრომელთა პარტიის ორგანიზატორსა და ხელმძღვანელს და იმპერიალიზმის ბორკილებისაგან ვიეტნამელი ხალხის განთავისუფლებისათვის დაუცხრომელ მებრძოლს.

გისურვებთ შემდგომ წარმატებებს სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარებისათვის, მშრომელთა ცხოვრების დონის ამაღლებისათვის, ერთიანი, დამოუკიდებელი და დემოკრატიული ვიეტნამისათვის ბრძოლაში.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტი.

კონცერტი სსრ კავშირის დიდ თეატრში

18 მაისს სსრ კავშირის დიდ თეატრში მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირის მონაწილეთათვის გაიმართა ხელოვნების ოსტატთა კონცერტი.

კონცერტი გაიხსნა დუნაევსკის „სიმღერით სამშობლოზე", რომელიც შეასრულეს სსრ კავშირის დიდი თეატრის მსახიობებმა, გუნდმა, რუსული სიმღერის გუნდმა და სსრ კავშირის დიდი თეატრის ორკესტრმა. სოლისტი იყო სსრ კავშირის სახალხო არტისტი ა. ივანოვი. შემდეგ ნაკრებმა გუნდმა ორკესტრის თანხლებით შეასრულა ტულიკოვის „ჩვენ ყველანი მშვიდობას ვემხრობით".

გამოდის შოპენის სახელობის პიანისტთა საერთაშორისო კონკურსის ლაურეატი ე. მალინინი.

სსრ კავშირის დიდი თეატრის სოლისტმა ლ. ავდეევამ დიდი გრძნობით იმღერა „ჰაბანერა" ბიზეს ოპერა „კარმენიდან" და რუსული ხალხური სიმღერა „მინდორ-ველზე".

დიდი წარმატება ხვდა რუსეთის სფსრ სახალხო არტისტს ი. პეტროვს, რომელმაც შეასრულა „ვარიაგის სიმღერა" რიმსკი-კორსაკოვის ოპერა „სადკოდან" და „ერიომკას სიმღერა" სეროვის ოპერა „მტრის ძალიდან".

მრავალფეროვნად იყო წარმოდგენილი კონცერტზე ბალეტის ხელოვნება. „გედების ცეკვა" ჩაიკოვსკის ბალეტიდან „გედების ტბა" და „ვალსი" მისივე ბალეტიდან „მძინარე მზეთუნახავი" შეასრულეს სსრ კავშირის დიდი თეატრის ბალეტის მსახიობებმა და ქორეოგრაფიული სასწავლებლის მოსწავლეებმა.

სსრ კავშირის სახალხო არტისტმა გ. ულანოვამ და რუსეთის სფსრ და უკრაინის სსრ დამსახურებულმა არტისტმა ვ. პრეობრაჟენსკიმ მშვენივრად შეასრულეს შოპენის „ვალსი".

კონცერტში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე სომხეთის სსრ სახალხო არტისტმა გ. გასპარიანმა, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ი. ილინსკიმ, მოსკოვის სამხედრო ოლქის სიმღერისა და ცეკვის ანსამბლმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ლ. მასლენიკოვამ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა ს. ლემეშევმა, რუსეთის სფსრ დამსახურებულმა არტისტმა ი. ლიუბეზნოვმა, მოსკოვის სახელმწიფო ცირკის მსახიობთა ჯგუფმა ვან ზე-ვეის ხელმძღვანელობით.

კონცერტი დამთავრდა პიატნიცკის სახელობის რუსული ხალხური გუნდის გამოსვლით. გუნდმა შეასრულა რუსული ხალხური სიმღერა „მდინარის გასწვრივ" და კომპოზიტორ ზახაროვის სიმღერა „ჩვენი ძალაა მართალი საქმე". გუნდის მოცეკვავეთა ჯგუფმა დამსწრეთ უჩვენა ლამაზი ცეკვა „კოლმეურნის ქორწილზე".

კონცერტს დაესწრნენ პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელები ამხანაგები ნ. ა. ბულგანინი, ლ. მ. კაგანოვიჩი, გ. მ. მალენკოვი, ა. ი. მიქოიანი, ვ. მ. მოლოტოვი, მ. გ. პერვუხინი, მ. ზ. საბაროვი, ნ. ს. ხრუშჩოვი, ა. ი. კირიჩენკო, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნები პ. ნ. პოსპელოვი და მ. ა. სუსლოვი. (საკდესი).

მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი

ამხანაგ ნ. ს. ხრუშჩოვის სიტყვა

(დასასრული)

მობს იმას, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის ხელმძღვანელობით თავდადებით შრომობენ ჩვენი მუშათა კლასი, კოლმეურნე გლეხობა და საბჭოთა ინტელიგენცია. **(ხანგრძლივი ტაში).**

საბჭოთა ხალხმა კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით მსოფლიო-ისტორიულ გამარჯვებებს მიაღწია. კომუნისტური პარტიის ,ენერალური ხაზის განხორციელების შედეგად ჩვენი ქვეყანა ჩამორჩენილი, აგრარული ქვეყნიდან მოწინავე ინდუსტრიულ-საკოლმეურნეო სახელმწიფოდ გადაიქცა.

ხელმძღვანელობს რა მარქს — ენგელს — ლენინ — სტალინის მოძღვრებით, საბჭოთა ხალხმა ააშენა სოციალიზმი და მტკიცე რწმენით მიდის კომუნიზმის გზით. ჩვენი ამოცანაა კვლავაც განვამტკიცოთ საბჭოთა კავშირის ძლიერება, განვავითაროთ სახალხო მეურნეობა, უწინარეს ყოვლისა მძიმე ინდუსტრია, და მის საფუძველზე ავამაღლოთ მსუბუქი მრეწველობა, სოფლის მეურნეობა, ვიბრძოლოთ ხალხის კეთილდღეობის განუხრელი გაუმჯობესებისათვის. ჩვენი ამოცანაა ყოველი ღონისძიებით განვამტკიცოთ მუშათა კლასისა და გლეხობის ძმური კავშირი, ჩვენი ქვეყნის ხალხთა დიადი მეგობრობა. ამით ხელმძღვანელობს ჩვენი პარტია მთელ თავის მოღვაწეობაში.

ამხანაგი ხრუშჩოვი აღნიშნავს, რომ ჩვენს მრეწველობას უდიდესი რეზერვები აქვს, მაგრამ ამ რეზერვებს ჯერ კიდევ ცუდად ვიყენებთ. ამაზე სამართლიანად ლაპარაკობდა ყველა, ვინც ამ თათბირზე გამოვიდა. თათბირის მონაწილენი ერთსულოვნად უმერენ მხარს ჩვენი სოციალისტური ინდუსტრიის შემდგომი აღმავლობის ღონისძიებებს, რომლებიც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭომ შეიმუშავეს.

თუ წარმოებას უკეთ მოვაწყობთ, შეგვიძლია მივაღწიოთ იმას, რომ მნიშვნელოვნად გავადიდოთ სამრეწველო პროდუქციის გამოშვება არსებულ საწარმოო ფართობებზე, იმავე მოწყობილობით. თუ ლითონს უკეთ გამოვიყენებთ, შეგვიძლია ერთსახეოვარ ერორჯერ გავადიდოთ ლითონის ნაწარმის გამოშვება. ამხ. ხრუშჩოვი მრავალი კონკრეტული მაგალითით ცხადყოფს, რომ ხშირად ჩვენში ლითონს გონივრულად არ იყენებენ.

დღემდე სამრეწველო საწარმოთა მშენებლობაში ნაკლებად იყენებენ რკინა-ბეტონს, რაც იწვევს დიდძალი ლითონის არარაციონალურ ხარჯვას ლითონის კონსტრუქციებისათვის. ზოგიერთი მშენებელი ცდილობს ლითონ-კონსტრუქციების ფართოდ გამოყენება გაამართლოს იმით, რომ საჭიროა ვაშენოთ მკვიდრად და სწრაფად. რაც შეეხება სიმკვიდრეს, ცნობილია, რომ ჯერ კიდევ ჩვენმა წინაპრებმა ააგეს ლითონ-კონსტრუქციების გამოუყენებლად ივანე დიდის სამრეკლო, რომლის სიმკვიდრე ბევრ თანამედროვე მშენებელს შეშურდება. ხოლო რაც შეეხება მშენებლობის ვადებს, თუ საქმეს სწორად მოვაწყობთ, რკინაბეტონის გამოყენებამ შეიძლება მოგვცეს საუკეთესო შედეგები.

ამხანაგი ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ მშენებლობაში, ისევე როგორც წარმოების სხვა დარგებში, საჭიროა მეტი ყურადღება მიექცეს საქმის ეკონომიურ მხარეს.

მერე რამდენი ზედმეტი ლითონი იკარგება ჩვენში როგორც ნთალი! და ეს ხდება ბევრი ჩვენი სამეურნეო მუშაკის მოუქნელობის შედეგად, რომლებიც არ ზრუნავენ, რომ გაუმჯობესონ წარმოება, დანერგონ ახალი ტექნოლოგია, რომელიც საშუალებას გვაძლევს თითქმის მთლიანად მოვსპოთ ლითონის დანაკარგი. თანამედროვე ტექნიკა დიდ შესაძლებლობებს იძლევა ამისათვის. სატვიფრავი და საქედი მოწყობილობის ფართოდ გამოყენება, ზუსტი ჩამოსხმის მეთოდისა და ბევრი სხვა ტექნიკური საშუალების დანერგვა საშუალებას გვაძლევს მინიმუმამდე დავიყვანოთ ნთალი.

ნამდვილად კი ზოგჯერ ნაქედი იწონის 10 კილოგრამს, ხოლო მისგან დამზადებული დეტალი — ერთ კილოგრამს. მაშასადამე, 9 კილოგრამი ლითონი დაიკარგა როგორც ნთალი. ამასთან იხარჯება ხარატთა, მღარველთა დიდძალი შრომა, დიდძალი ელექტროენერგია, არარაციონალურად ვიყენებთ მოწყობილობას.

შემდეგ ამხანაგი ხრუშჩოვი ლაპარაკობს იმაზე, რომ საჭიროა გავაფართოოთ ნაგლინის ასორტიმენტი. შეგვიძლია, — ამბობს იგი,—დავზოგოთ ბევრი ლითონი, თუ გამოვუშვებთ უფრო მდიდარი ასორტიმენტის ნაგლინს დაკალბრების, ზომის, აგრეთვე ხარისხის მხრივ.

მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის უდიდესი მნიშვნელობა აქვს წარმოების სპეციალიზაციას, მრეწველობის საწარმოებისა და დარგების კოოპერირებას. თვითეულ მინისტრს სურს კარგად შეულად, თავისი სამინისტროს საწარმოთა ფარგლებში ეწეოდეს წარმოებას. ეს კი გონივრული არ არის, განსაკუთრებით ჩვენს სოციალისტურ პირობებში. ამოცანა ის არის, რომ დავადგეთ ფართო კოოპერაციის გზას. კოოპერაცია უნდა იყოს არა მარტო სამინისტროს ფარგლებში, არამედ სამინისტროებს შორისაც. სპეციალიზებული ქარხნების შექმნა საშუალებას მოგვცემს მოვაწყოთ მაღალხარისხოვანი და უფრო იაფი სამრეწველო ნაწარმის მასობრივი გამოშვება, საშუალებას მოგვცემს უფრო სწრაფად აღმოვფხვრათ კუსტარულობა ამ საქმეში.

— მეტი ყურადღება, — ამბობს ამხანაგი ხრუშჩოვი, — უნდა მიექცეს ჩარხმშენებელი მრეწველობის განვითარებას, ინსტრუმენტისა და სამარჯვთა წარმოებას. ყოველი ღონისძიებით უნდა გავაუმჯობესოთ წარმოების ტექნიკა, განუწყვეტლივ შევაიარაღოთ მრეწველობის ყველა დარგი უახლესი მოწყობილობით. ამას შეეძლებთ მხოლოდ იმ პირობით, თუ ჩვენი ჩარხმშენებელი და საინსტრუმენტო მრეწველობა მნიშვნელოვნად გაუსწრებს მრეწველობის სხვა დარგების განვითარებას. არ შეიძლება ამუშაო ჩარხი მანამდე, სანამ იგი უვარგისი გახდებოდეს და მხოლოდ ამის შემდეგ შეცვალო იგი ან მოახდინო მისი მოდერნიზაცია.

პირველხარისხოვანი მოწყობილობა რომ გვექნეს, ამისათვის ყოველი ღონისძიებით უნდა განვავითაროთ ჩვენი ჩარხმშენებლობა, ვაუმჯობესოთ საკონსტრუქტორო ბიუროების, სამეცნიერო ინსტიტუტების მუშაობა, საუკეთესო კონსტრუქტორები და გამომგონებლები ჩავაბათ ახალი ჩარხების, ძანქანების შექმნის საქმეში. უნდა შევქმნათ პირობები მათი შემოქმედებითი მუშაობისათვის.

რასაკვირველია, ჩვენ მომავალშიც უნდა ვამენოთ ახალი სამრეწველო საწარმოები. მაგრამ ისინი უნდა ვაშენოთ გონივრულად, ავამაღლოთ და გავაფართოოთ მრეწველობის ის დარგები, რომლებსაც გაფართოება ესაჭიროება. მაგრამ მიუტევებელი იქნება, რომ არ გამოვიყენოთ წარმოების გადიდების ისეთი რეზერვი, როგორიც არის ჩარხმოწყობილობის განახლება, ახალი ტექნიკის დანერგვა. ესეც წარმოების გაფართოებაა, მაგრამ გაფართოება, რომელიც ხორციელდება ნაკლები ძალებისა და სახსრების დახარჯვით.

ამხანაგმა ხრუშჩოვმა თავის სიტყვაში დიდი ყურადღება მიაქცია დაგეგმვის საკითხებს. იგი აღნიშნავს, რომ წარმოება უნდა ვგეგმოთ არა მარტო მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით, არამედ ცალკეული ეკონომიური რაიონების მიხედვითაც, უფრო სრულად გამოვიყენოთ მთელი მათი შესაძლებლობანი.

ახლა თითქმის ყველა ქარხანას აქვს თავისი სამსხმელო, თუნდაც ცუდი, მაგრამ თავისი. მაგრამ რატომ არ უნდა შევქმნათ რაიონული სამსხმელო ქარხნები, რომლებიც კარგად იქნება აღჭურვილი და მომსახურებას გაუწევს მთელ სამრეწველო რაიონს.

უნდა შევქმნათ აგრეთვე რამდენიმე სპეციალიზებული, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილი ქარხანა სხვადასხვა დიზელის წარმოებისათვის.

ფართო მოხმარების საქონელზე მოსახლეობის მზარდი მოთხოვნილების დაკმაყოფილებაში დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებენ ადგილობრივი მრეწველობა და სარეწაო კოოპერაცია. საჭიროა განვახორციელოთ ამ წარმოების ცენტრალიზაცია და კონცენტრაცია, ახალი ტექნიკით აღვჭურვოთ ადგილობრივი მრეწველობის საწარმოები, ახალი მოწინავე ტექნოლოგია დავნერგოთ ამ საწარმოებში, და მაშინ ადგილობრივი მრეწველობისაგან მივიღებთ 2-3-ჯერ მეტ ფართო მოხმარების საგნებს, რომლებიც უფრო იაფი და მაღალი ხარისხისა იქნება. ეს საშუალებას მოგვცემს გავაუმჯობესოთ მოსახლეობის უზრუნველყოფა სახალხო მოხმარების საჭირო საქონლით. **(ტაში).** რასაკვირველია, ამისათვის საჭირო იქნება სახსრების ერთგვარი დაბანდება, მაგრამ ეს სახსრები მალე ანაზღაურდება.

ახასიათებს რა დაგეგმვის გაუმჯობესების ამოცანებს, ამხ. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა მნიშვნელობა აქვს ამას წინათ მიღებულ გადაწყვეტილებას, რომ სახელმწიფო საგეგმო კომიტეტი გაიყოს სახელმწიფო საგეგმო კომისიად, რომელიც უნდა მუშაობდეს პერსპექტიული დაგეგმვის საკითხებზე, და ეკონომიურ კომისიად, რომელიც უნდა მუშაობდეს მიმდინარე დაგეგმვის საკითხებზე. ეს ორი ორგანო ერთმანეთს უნდა შეავსებდეს. ჩვენ ვერ ვიცხოვრებთ, თუ არ გვექნა პერსპექტიული დაგეგმვა, მაგრამ აგრეთვე ვერ ვიცხოვრებთ, თუ არ გვექნა მიმდინარე დაგეგმვა.

ჩვენ გვესაჭიროება სახალხო მეურნეობის განვითარების გეგმები არა მარტო ერთი წლის და არა მარტო ერთი ხუთწლედისათვის, არამედ უფრო ხანგრძლივი ვადისთვისაც. უნდა გვქონდეს მთელი რიგი დარგების, განსაკუთრებით ენერგეტიკის 10-15 წლის პერსპექტიული გეგმები.

ვინ უნდა ამუშავებდეს პერსპექტიულ გეგმებს? ამას უნდა აკეთებდეს სახელმწიფო საგეგმო კომისია სამეცნიერო ინსტიტუტების საშუალებით. ხანგრძლივი ვადით გეგმების შემუშავება საბჭოთა ადამიანებს შეაიარაღებს კომუნიზმისაკენ წინსვლის ნათელი პერსპექტივით, დაანახვებს, თუ რა ვადაში გავუსწრებთ წინ მრეწველობის ამა თუ იმ დარგში ყველაზე განვითარებულ კაპიტალისტურ ქვეყნებს ერთ სულ მოსახლეზე პროდუქციის წარმოების მხრივ.

შეუძლიათ გვკითხონ, სახელმწიფო საგეგმო კომისიასთან ერთად ეკონომიური კომისია რაღად გესაჭიროებათო? ეკონომიური კომისია იმისათვის გვესაჭიროება, რომ უფრო გონივრულად გამოვიყენოთ მთელი მატერიალური, ტექნიკური და შრომითი რეზერვები სახალხო მეურნეობის განვითარების სახელმწიფო გეგმების შესასრულებლად. მიმდინარე დაგეგმვის განხორციელებამაც უნდა გამოვიჩინოთ მაქსიმალური მოქნილობა, შემოქმედებითი მიდგომა საქმისადმი. ეს იმიტომ არის საჭირო, რომ უაღრესად იდეალურად შემუშავებული გეგმა მისი შესრულების პროცესში კორექტირებული იქნება იმ მშრომელთა შემოქმედებითი ინიციატივისა და აქტივობის განვითარების მეოხებით, რომლებიც მთლიანად და გადაჭარბებით ასრულებენ საგეგმო დავალებებს.

ამხ. ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ საჭიროა გაძლიერდეს სამინისტროთა ხელმძღვანელების პასუხისმგებლობა გეგმების შემუშავებისა და შესრულებისათვის, მოწინავე გამოცდილების განზოგადებისა და გავრცელებისათვის.

საჭიროა, რომ მინისტრს ჰყავდეს კარგი ინჟინერ-ინსპექტორები, რომელთა დახმარებით მას შეეძლება უფრო ღრმად შეისწავლოს მუშაობის ორგანიზაცია ქარხნებში, ტექნოლოგია, შეისწავლოს ჩარხმოწყობილობა, შეისწავლოს შრომის მოწინავე ხერხები ცალკეულ დარგებში, განაზოგადოს და ერთი ქარხნიდან მეორეში გადაიტანოს ისინი. მინისტრები მოვალენი არიან ისე მოაწყონ საქმე, რომ ყოველივე, რაც ახალი და მოწინავეა, უაღრესად ფართოდ ვრცელდებოდეს, საყოველთაო კუთვნილება ხდებოდეს. **(ტაში).**

იმ ამოცანებთან დაკავშირებით, რომლებიც დგას მრეწველობის წინაშე, ტექნიკური პროგრესისათვის, შრომის ნაყოფიერების გადიდებისა და პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისათვის, ამხანაგი ხრუშჩოვი ხაზგასმით აღნიშნავს, თუ რა განსაკუთრებული როლი ენიჭება სახელმწიფო კონტროლის სამინისტროს და სახელმწიფო ტექნიკის კომიტეტს, რომელიც ახლად იქმნება. სახელმწიფო კონტროლი, — ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, — უფრო მეტად უნდა გადავიყვანოთ საწარმოო რელსებზე, უფრო სრულად უნდა გამოვიყენოთ იგი ამ ხაზით.

თავისი სიტყვის მნიშვნელოვანი ნაწილი ამხ. ხრუშჩოვმა მიუძღვნა შრომის ნაყოფიერების გადიდების, დანორმვის, ხელფასის, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და მისი თვითღირებულების შემცირების საკითხებს.

სიტყვაში მკვეთრად გაკრიტიკებულ იქნა ბიუროკრატული ზედმეტობა სამინისტროთა, უწყებათა და საწარმოთა სამმართველო აპარატში.

დაამთავრა რა მრეწველობის დარგის ამოცანების დახასიათება, ნ. ს. ხრუშჩოვმა ილაპარაკა, თუ რა დიდი პასუხისმგებლობა აკისრიათ სამრეწველო საწარმოთა პარტიულ ორგანიზაციებს მრეწველობის ზრდისა და სრულყოფისათვის, სახელმწიფო გეგმების შესრულებისათვის. თუ მთელმა ჩვენმა მრავალრიცხოვანმა კადრებმა, რომლებიც მრეწველობის დარგში მუშაობენ, ჩვენმა პარტიულმა, პროფკავშირულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა ჯეროვნად მოჰკიდეს ხელი საქმეს და სათავეში ჩაუდგნენ მასების შემოქმედებითს აქტივობას, სოციალისტური ინდუსტრია კიდევ უფრო ძლიერი ტემპით განვითარდება და სულ ახალ და ახალ წარმატებებს მიაღწევს.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვი შეეხო საერთაშორისო მდგომარეობის ზოგიერთ საკითხს. მან ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს ამას წინათ ვენაში ხელმოწერილ სახელმწიფო ხელშეკრულებას დამოუკიდებელი და დემოკრატიული ავსტრიის აღდგენის შესახებ.

ავსტრიის საკითხის გადაჭრა, რაც მიღწეულია საბჭოთა კავშირის ინიციატივით, არსებითი წვლილია საერთაშორისო ურთიერთობის დაძაბულობის შენელების საქმეში, მშვიდობის განმტკიცების საქმეში.

ბურჟუაზიული პროპაგანდა დაჟინებით და ბოროტი განზრახვით ამტკიცებს, თითქოს საბჭოთა კავშირს სურდეს მთელი ევროპის დაპყრობა. ჩვენ კი ავსტრიის ხელშეკრულების დადებისას შევიტანეთ წინადადება გაყვანილ იქნან ავსტრიის ტერიტორიიდან მთელი ჯარები, მათ შორის საბჭოთა კავშირის ჯარებიც. განა საჭიროა კიდევ რაიმე უფრო ძლიერი დამამტკიცებელი საბუთი, რომ საბჭოთა კავშირი არ აპირებს არც ევროპის დაპყრობას, არც საერთოდ ომს. ვინ გამოიყვანს თავის ჯარებს, თუ შეტევას აპირებს. ჩვენ ვიყავით და ახლაც ვართ როგორც ევროპაში, ისე მთელ მსოფლიოში მშვიდობის საქმისათვის ყველაზე თანმიმდევარი და მტკიცე მებრძოლნი.

მშვიდობის საქმეში დიდი წვლილია საბჭოთა მთავრობის ამ დღეებში გამოქვეყნებული წინადადებანი შეიარაღების შემცირების, ატომური იარაღის აკრძალვისა და ახალი ომის საფრთხის თავიდან აცილების საკითხებზე.

აგრესიული წრეები, ახორციელებენ რა ახალი ომის მომზადების პოლიტიკას, აწყობენ სამხედრო ბლოკებს, ეწევიან გამალებულ შეიარაღებას, ატომური ომით ემუქრებიან ხალხებს, აღადგენენ გერმანულ მილიტარიზმს და ახორციელებენ მთელ რიგ სხვა ღონისძიებებს, რომლებიც მიმართულია ხალხთა მშვიდობიანი ცხოვრების წინააღმდეგ. საბჭოთა კავშირის წინადადებანი ახალ ლახვარს სცემენ იმპერიალისტური ძალების ზრახვებსა და გეგმებს. ამ წინადადებათა განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა იმით გამოიხატება, რომ ისინი რეალურ საფუძველს იძლევიან, რათა პრაქტიკულად წავწიოთ წინ შეიარაღების შემცირების, ატომური და მასობრივი მოსპობის სხვა იარაღის აკრძალვის საქმე და თავიდან ავიცილოთ ახალი ომის საფრთხე, როგორც ეს ასე მხურვალედ სურთ ხალხებს.

ყველა ეს ფაქტი ნათლად მოწმობს, რომ ჩვენი პოლიტიკა საერთაშორისო ურთიერთობის დარგში ემყარება ურყევ პრინციპებს, რომლებიც დიდმა ლენინმა გვიანდერძა.

საბჭოთა საგარეო პოლიტიკის ძირეული პრინციპია იმის აღიარება, რომ შესაძლებელი და საჭიროა სხვადასხვა სოციალური სისტემის მშვიდობიანი თანაარსებობა. მხოლოდ ამ პრინციპით თუ ვიხელმძღვანელებთ, შეგვიძლია დავამყაროთ ნორმალური ურთიერთობა და საქმიანი თანამშრომლობა ყველა ქვეყანას შორის.

ამის გაგება ჯიუტად არა სურთ იმათ, ვინც „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას იცავს. ისინი ივიწყებენ უბრალო რამეს, რომ ჯერ კიდევ საბჭოთა სახელმწიფოს არსებობის პირველ წლებში, როცა ჩვენ სუსტნი ვიყავით, ვ. ი. ლენინი საბჭოთა ხალხს ასწავლიდა არ შეუშინდეს იმპერიალისტების მუქარას და მტკიცე წინააღმდეგობა გაუწიოს მათ. ლენინი სათავეში ჩაუდგა საბჭოთა ხალხის ბრძოლას 14 სახელმწიფოს ინტერვენციის წინააღმდეგ, და ჩვენმა ხალხმა გაიმარჯვა ამ ბრძოლაში. განა აშკარა არ არის, რომ ახლა, როცა საბჭოთა კავშირი მძლავრი ინდუსტრიული სახელმწიფოა, „ძალის პოზიციის“ პოლიტიკას სრული ჩაფუშვა მოელის.

შემდეგ ნ. ს. ხრუშჩოვმა ხაზგასმით აღნიშნა, რომ საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობის განმტკიცებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს სსრ კავშირისა და იუგოსლავიის რესპუბლიკის მთავრობათა დელეგაციების მომავალ შეხვედრას ბელგრადში. საბჭოთა ხალხის დელეგაცია იქ მიდის წმიდა გრძნობითა და გულწრფელი მისწრაფებით გამსჭვალული. ჩვენ გვაქვს ყველა საბრალო პირობა იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ურთიერთობის სრული ნორმალიზაცია სსრ კავშირსა და იუგოსლავიის ფედერაციულ სახალხო რესპუბლიკას შორის, უწინარეს ყოვლისა სახელმწიფოებრივი ხაზით.

ჩვენ მტკიცედ ვადგავართ იმ შეხედულებას, რომ სახელმწიფოებს შორის ნორმალური ურთიერთობისათვის საჭიროა განვახორციელოთ თანასწორუფლებიანობისა და საშინაო საქმეებში ურთიერთჩაურევლობის პრინციპი. შეგვიძლია თუ არა ამ საფუძველზე მტკიცე და მეგობრული ურთიერთობა დავამყაროთ იუგოსლავიასთან? სავსებით შეგვიძლია.

შემდეგ. შეგვიძლია თუ არა ურთიერთხელსაყრელი პირობებით განვავითაროთ ვაჭრობა და სხვა ეკონომიური ურთიერთობა იუგოსლავიასთან? ხელსაყრელია თუ არა ეს ორივე ქვეყნისათვის? უთუოდ შეგვიძლია, უთუოდ ხელსაყრელია.

ჩვენ მტკიცედ ვართ დარწმუნებული, რომ იუგოსლავიისა და საბჭოთა კავშირის ხალხებს, რომლებსაც აქვთ მეგობრობის საუკუნეობრივი ტრადიციები და რომლებსაც არაერთხელ უბრძოლნიათ ერთად საერთო მტრების წინააღმდეგ, ხალხებს, რომლებსაც აქვთ საერთო მიზნები უკეთესი მომავლისათვის, ბედნიერი ცხოვრებისათვის ბრძოლაში, — ამ ხალხებს აქვთ მტკიცე ბაზა ფართო და ყოველმხრივი თანამშრომლობისათვის. ასეთი თანამშრომლობა საჭიროა, ამბობს ნ. ს. ხრუშჩოვი, არა მარტო საბჭოთა კავშირისა და იუგოსლავიის ხალხებისათვის. ეს საჭიროა მთელი მსოფლიოს მშვიდობის საქმისათვის.

ამხანაგებო! საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო, რომელიც დიდმა ლენინმა შექმნა, მტკიცდება და წარმატებას აღწევს. ჩვენი წარმატებები იზრდება და მრავლდება. ისინი კიდევ უფრო დიდი იქნება, თუ ჩვენ გონივრულად, ბოლშევიკურად, ლენინურად მივუდგებით ყველა ამოცანის გადაჭრას, რომლებიც დასახულია ჩვენს წინაშე მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, სახელმწიფო მშენებლობის, საგარეო პოლიტიკის ხელმძღვანელობის დარგში.

კომუნისტური პარტიის, მისი ცენტრალური კომიტეტის ხელმძღვანელობით, ჩვენი მთავრობის ხელმძღვანელობით საბჭოთა ადამიანები კიდევ უფრო მეტი ენერგიით იბრძოლებენ კომუნიზმის მშენებლობის დიადი ამოცანების განხორციელებისათვის. **(ხანგრძლივი ტაში, ყველანი ფეხზე დგებიან).**

* * *

თავმჯდომარე — სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარე ამხანაგი **ნ. ა. ბულგანინი** აცხადებს, რომ თათბირზე გამოვიდა 49 კაცი. თათბირმა მიიღო გადაწყვეტილება შეწყდეს კამათი.

შემდეგ თათბირის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს მიმართვა საბჭოთა კავშირის მრეწველობის ყველა მუშის, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკისა და მოსამსახურისადმი.

ამით დაიხურა მრეწველობის მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. (საკდესი).

ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიისა და ვოლგისპირეთის მეცხვარეთა [illegible]

სტავროპოლი, 17 მაისი. (საკდესი). დღეს აქ გაიხსნა სტავროპოლისა და კრასნოდარის მხარეების, როსტოვის, გროზნოს, სტალინგრადის, ასტრახანისა და სარატოვის ოლქების, დაღისტნის, ჩრდილოეთ ოსეთისა და ყაბარდოს ასს რესპუბლიკების, აზერბაიჯანის, საქართველოსა და სომხეთის მეცხვარეობის მუშაკთა თათბირი. მოხსენება მეცხვარეობის შემდგომი მკვეთრი აღმავლობისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ამოცანების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. ი. ვორონოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა მატყლის, განსაკუთრებით ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნით ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიისა და ვოლგისპირეთის რაიონებს. იმ მატყლის ხვედრითი წონა, რომელსაც ამ ზონის კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ, შეადგენს ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის საერთო დამზადების 30,5 პროცენტს. უფრო მაღალია ნაზი მატყლის ხვედრითი წონა — იგი შეადგენს 87 პროცენტს. ნაზმატყლიანი მეცხვარეობა მნიშვნელოვნად ვითარდება ჩრდილოეთ კავკასიაში.

მოწინავე მეურნეობათა მიღწევები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალება მეცხვარეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში სასოფლო-სამეურნეო ორგანოების, მტს-ებისა და კოლმეურნეობების ამოცანების შესახებ გააკეთა სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილემ ამხ. გ. ი. ვორონოვმა.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმმა დასახა მატყლის, განსაკუთრებით ნაზი და ნახევრადნაზი მატყლის წარმოების მნიშვნელოვანი გადიდების ამოცანა. ამ ამოცანის გადაჭრაში დიდი როლი ეკუთვნით ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიისა და ვოლგისპირეთის რაიონებს. იმ მატყლის ხვედრითი წონა, რომელსაც ამ ზონის კოლმეურნეობები სახელმწიფოს აბარებენ, შეადგენს ჩვენს ქვეყანაში ამ პროდუქციის საერთო დამზადების 30,5 პროცენტს. უფრო მაღალია ნაზი მატყლის ხვედრითი წონა — იგი შეადგენს 87 პროცენტს. ნაზმატყლიანი მეცხვარეობა მნიშვნელოვნად ვითარდება ჩრდილოეთ კავკასიაში.

მოწინავე მეურნეობათა მიღწევები ცხადყოფს, რომ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალება მეცხვარეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის გადიდების საქმეში შეიძლება ვადამდე შესრულდეს. მაგრამ, როგორც თათბირზე აღინიშნა, მთელ რიგ მხარეებში, ოლქებსა და რესპუბლიკებში პლენუმის გადაწყვეტილებანი ჯერ კიდევ ნელა სრულდება.

მომხსენებელმა ცხვრის გამოზამთრების ორგანიზაციის საქმისადმი უყურადღებობის გამო მწვავედ გააკრიტიკა დაღისტნის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილეები ამხ. იბაშევი და ამხ. სოროკინი, ჩრდილოეთ ოსეთის ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. ტიმკოვი. ამხ. ვორონოვმა დაწვრილებით ილაპარაკა მეცხვარეობის განვითარების ნაკლოვანებებზე და მატყლის წარმოების მკვეთრი გადიდების გზებზე. თუ სტავროპოლის მხარის კოლმეურნეობანი ყოველ ას ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულებზე იღებენ 208 კილოგრამ მატყლს, გროზნოს ოლქისა — 140 კილოგრამსა და როსტოვის ოლქისა — 126 კილოგრამს, სტალინგრადის, კამენსკისა და სარატოვის ოლქების კოლმეურნეობებმა, რომლებსაც ისეთივე პირობები აქვთ, მიიღეს მხოლოდ 51-32 კილოგრამი მატყლი.

მეცხვარეობის განვითარების გეგმის შესრულების მთავარი პირობაა მყარი საკვები ბაზის შექმნა, უწინარეს ყოვლისა მარცვლეულის და განსაკუთრებით სიმინდის წარმოების გადიდებით. უფრო ფართოდ უნდა გავრცელდეს ცხვრის ბანაკურ-საძოვრული მოვლა-შენახვა, განხორციელდეს ბუნებრივი სათიბების გაუმჯობესების ღონისძიებანი, მომზადდეს და სანიმუშოდ დამთავრდეს თივის თიბვა. განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფარეხების მშენებლობასა და მექანიზაციას.

მოხსენების გამო გაჩაღდა გაცხოველებული კამათი. თათბირი რამდენიმე დღეს გასტანს.

სტავროპოლი, 18 მაისი. (საკდესი). მეორე დღეა მუშაობას განაგრძობს ჩრდილოეთ კავკასიის, ამიერკავკასიისა და ვოლგისპირეთის მეცხვარეთა თათბირი. მისი მონაწილენი აღნიშნავენ, თუ რა დაუშრეტელი რეზერვები მოეპოვებათ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს, რათა ვადამდე შეასრულონ სსრ კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დავალება.

დიდი ინტერესი გამოიწვია სტავროპოლის მხარის სოფლის მეურნეობის სამმართველოს უფროსის მოადგილის ამხ. მარმაკოვის გამოსვლამ. ამ მხარის კოლმეურნეობებმა ერთგვარი წარმატებანი მოიპოვეს მეცხვარეობის განვითარებაში. პერსპექტიული გეგმები ითვალისწინებენ მეურნეობის ამ დარგის შემდგომ განვითარებას. 1957 წელს მხარის ყველა კოლმეურნეობას, გარდა მთისა და მთისძირის რაიონებისა, მხოლოდ ნაზმატყლიანი ფარა ეყოლება.

მოწინავე მეცხვარეებმა გამოიყენეს ფარეხებში მოვლა-შენახვის მეთოდი. ამან უზრუნველყო მოზარდეულის მთლიანად შენარჩუნება. სტავროპოლის მხარეში დიდი ყურადღება ექცევა აგრეთვე ზამთარში და ადრიან გაზაფხულზე გამრავლების მოწყობას. თათბირზე დიდი ყურადღება ექცევა ცხვრის საზაფხულო ბაგური მოვლა-შენახვის მოწყობას იმ ზონებში, სადაც მეტია მოხნული მიწები. ცხვრის ასეთი მოვლა-შენახვის გამოცდილებაზე ილაპარაკეს კრასნოდარის მხარის პავლოვსკაიას რაიონის კოლმეურნეობა „სტალინური გზის“ თავმჯდომარემ ამხ. გარმაშმა და საბჭოთა კავშირის მეცხვარეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმა თანამშრომელმა ამხ. სტაკანმა.

იმის მეოხებით, რომ ცხვარი საზაფხულო ბაგურ მოვლა-შენახვაზე გადაიყვანა, კოლმეურნეობა „სტალინურმა გზამ“, საკვები კულტურების ნათესთა გაუფართოებლად გაადიდა ცხვრის სულადობა 62 პროცენტით. ხოლო მატყლის საერთო გამოსავალი — თითქმის ერთიორად. ამასთან მატყლის თვითღირებულება 33,6 პროცენტით შემცირდა.

სტავროპოლის მხარის კურსავკის რაიონის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარემ ამხ. სკობლიკოვმა თავისი სიტყვა მიუძღვნა შრომის ორგანიზაციას მწყემსთა ბრიგადებში. კოლმეურნეობაში ფართოდ იყენებენ მწყემსთა შრომის პრემიალურ ანაზღაურებას, აღრიცხავენ არა მარტო ჩაბარებული მატყლის რაოდენობას, არამედ მატყლის ხარისხსაც, მოზარდეულის მოვლა-შენახვასაც. შარშან დამატებითი ანაზღაურების წესით მწყემსებს მიეცათ 185 ათასი მანეთი. კოლმეურნეობის ხარჯზე მწყემსებს პირველ რიგში ეძლევათ სანატორიუმებისა და დასასვენებელი სახლების საგზურები. კოლმეურნეობაში ყოველწლიურად აღინიშნება „მწყემსის დღე“ როგორც დიდი დღესასწაული.

თათბირზე გამოვიდნენ აგრეთვე საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. კობახიძე, გროზნოს ოლქის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობის თავმჯდომარე ამხ. გოლერეროვი, როსტოვის ოლქის მეცხვარეობის № 9 საბჭოთა მეურნეობის უფროსი მწყემსი ამხ. კანჩეკაკი, ყაბარდოს ასსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე ამხ. გუძიევა, საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის სტავროპოლის მხარის ჩერნოზემელსკის რაიკომის მდივანი ამხ. ივანოვი და სხვები.

თათბირი მუშაობას განაგრძობს.

თბილისიდან გაემგზავრა ინდოეთის პარლამენტის დელეგაცია

საქართველოში ორ დღეს სტუმრად იყო ინდოეთის პ

პარტიული ცხოვრება

პარტიული ორგანიზაცია და კედლის გაზეთი

საპატიო და პასუხსაგები ამოცანები აკისრია ძირეულ პრესას. იგი უნდა რაზმავდეს მშრომელებს კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებების შესრულებისათვის საბრძოლველად, პროპაგანდას უწევდეს მოწინავეთა გამოცდილებას, ულმობლად აკრიტიკებდეს ჩამორჩენილებს. ამჟამად კედლის გაზეთების გადაუდებელი ამოცანაა იბრძოლონ სკკპ ცენტრალური კომიტეტის იანვრის პლენუმის დადგენილების პრაქტიკულად განხორციელებისათვის.

როგორ ასრულებენ ამ ამოცანას წალენჯიხის რაიონის საკოლმეურნეო კედლის გაზეთები? მოვიყვანთ რამდენიმე მაგალითს.

სოფელ ჯვარის სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში შეუწყნარებლად ჩამორჩებოდა მშენებლობა. კოლმეურნეობის კანტორისათვის ორსართულიანი შენობა უნდა აეგოთ, მაგრამ საქმეს წინსვლა არ ეტყობოდა. ნელი ტემპით შენდებოდა აგრეთვე სადგომი 100 სული პირუტყვისათვის. სამი წლის წინათ დაწყებული საღორის მშენებლობა არ იყო დამთავრებული. კოლმეურნეობის სამშენებლო ბრიგადის ხელმძღვანელი კ. მატუა და მშენებლები ნ. ციმინტია და პ. ფიფია მეტ დროს კერძო ბინების მშენებლობას ანდომებდნენ, კოლმეურნეობის მშენებლობანი კი დავიწყებული იყო.

ამ უმსგავსოებაზე გაამახვილა ყურადღება საკოლმეურნეო კედლის გაზეთმა „შეძლებული ცხოვრებისაკენ". გაზეთში დაიბეჭდა პატარა, მაგრამ საქმიანი კორესპონდენცია სათაურით „მშენებლობა ჩამორჩება". კრიტიკამ გამოაფხიზლა კოლმეურნეობის გამგეობა, რომელმაც სწრაფად მიიღო ზომები მდგომარეობის გამოსასწორებლად. მოკლე ხანში აშენდა საკვებინა და საღორე, აგებულ იქნა სადგომი 100 სული მსხვილფეხა რქიანი პირუტყვისათვის, დაიწყო კოლმეურნეობის კანტორის მშენებლობა.

კედლის გაზეთი სისტემატურად ათავსებს წერილებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოთა მიმდინარეობაზე, აკრიტიკებს ჩამორჩენილებს. მაგრამ კედლის გაზეთი არა მარტო ნაკლოვანებებს ამხილებს, არამედ ამასთან ერთად ეწევა მოწინავეთა გამოცდილების პროპაგანდას, ხელს უწყობს ყოველივე ახლის, პროგრესულის დანერგვას პრაქტიკაში. იგი ხშირად ათავსებს წერილებს კოლმეურნეთა შრომითს წარმატებებზე. გაზეთის „შეძლებული ცხოვრებისაკენ" სარედაქციო კოლეგია, რომელიც 7 კაცისაგან შედგება, ოპერატიულად, საქმის ცოდნით აკეთებს გაზეთს. შედგენილი აქვთ ყოველთვიური სამუშაო გეგმა, შემოკრებილი ჰყავთ სოფლკორთა აქტივი.

საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ყოველდღიურად ხელმძღვანელობს კედლის გაზეთს. პარტიული ორგანიზაციის კრებებზე და ბიუროს სხდომებზე ხშირად განიხილავენ სარედაქციო კოლეგიის მუშაობასთან დაკავშირებულ საკითხებს, მიუთითებენ ნაკლოვანებებზე და სახავენ კონკრეტულ ღონისძიებებს კედლის გაზეთის საქმიანობის უკეთ წარმართვისათვის.

მაგრამ ასე როდი მუშაობენ წალენჯიხის რაიონის სხვა კედლის გაზეთები. ჯერ კიდევ ბევრია ისეთი კედლის გაზეთი, რომელიც დიდი დაგვიანებით გამოდის. ამის ძირითადი მიზეზი ის არის, რომ სარედაქციო კოლეგიების გარშემო შემოკრებილი არ არის სოფლკორთა აქტივი, კედლის გაზეთები მოწყვეტილი არიან კოლმეურნეობების მოწინავე ადამიანებს. ყოველივე ამას ისიც ემატება, რომ დიდი დაგვიანებით გამოსული კედლის გაზეთში მხოლოდ 3-4 წერილია მოთავსებული, ისიც ზოგადი, არაფრისმთქმელი.

სოფელ ჯვარის კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობა სტალინის სახელობის კოლმეურნეობის მეზობელია. ამ ორი კოლმეურნეობის მშრომელები ეცნობიან ერთმანეთის მიღწევებს. მაგრამ, როგორც ითქვა, სტალინის სახელობის კოლმეურნეობაში კედლის გაზეთის ყველა ნომერი მოფიქრებულად არის გაფორმებული და მკითხველიც ბევრი ჰყავს, ხოლო კაგანოვიჩის სახელობის კოლმეურნეობის კედლის გაზეთი „კოლმეურნის ხმა" მხოლოდ სადღესასწაულო დღეებში გამოდის. ამიტომ მის გარშემო სოფლკორთა აქტივიც არ არის შემოკრებილი და მკითხველებიც ცოტა ჰყავს. გასული წლის ბოლოს კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაციის კრებაზე განიხილეს პარტიის წალენჯიხის რაკომის ბიუროს დადგენილება რაიონის კოლმეურნეობებში კედლის გაზეთების მუშაობის გაუმჯობესების შესახებ. კრებაზე აღინიშნა „კოლმეურნის ხმის" სარედაქციო კოლეგიის მუშაობის სერიოზული ნაკლოვანებანი. კრებამ დასახა საჭირო პრაქტიკული ღონისძიებანი, მაგრამ ეს ღონისძიებანი ქაღალდზე დარჩა, კედლის გაზეთი ძველავ ცუდად მუშაობს.

წალენჯიხის რაიონში სოფელ ორჯონიკიძის კოლმეურნეობა ერთ-ერთი მოწინავე კოლმეურნეობაა, მაგრამ ამ მოწინავე კოლმეურნეობაშიც კედლის გაზეთის მუშაობა სუსტად არის დაყენებული. კოლმეურნეობის პარტიული ორგანიზაცია კი ამ მდგომარეობას ყურადღებას არ აქცევს.

რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებში არ იგრძნობა პარტიული ხელმძღვანელობა და დახმარება კედლის გაზეთების სარედაქციო კოლეგიებისადმი. ამის შედეგია ის, რომ სოფელ ლიის კაგანოვიჩის სახელობის, ობუჯის მოლოტოვის სახელობის, მიქავას მიქოიანის სახელობისა და სხვა კოლმეურნეობებში კედლის გაზეთები დიდი დაგვიანებით გამოდის. ძირეული პრესა პარტიული ორგანიზაციების გულისხმიერ ხელმძღვანელობას და დახმარებას საჭიროებს. მაგრამ წალენჯიხის რაიონის ბევრი საკოლმეურნეო პარტიული ორგანიზაცია ნაკლებად არის დაინტერესებული კედლის გაზეთების მუშაობით.

გ. ნოდია,

„კომუნისტის" საკ. კორესპონდენტი.



აბაშის რაიონის სოფელ ტყვირის სტალინის სახელობის კოლმეურნეობას მეღორეობის კარგი ფერმა აქვს. შარშან თვითეულ დედალორზე მიღებულია 17 გოჟი. ფერმის მუშაკებმა გ. მიქაძემ, ვ. ფოფიამ, მ. მიგინეიშვილმა, პ. ჟღენტმა, ო. კუჭუხიძემ და სხვებმა ვალდებულება იკისრეს წელს თვითეულ დედალორზე მიიღონ და გაზარდონ 20 გოჟი. სურათზე: მომვლელი მ. მიგინეიშვილი საკვებს აძლევს ღორს, რომელმაც წელს მოიგო 14 გოჟი. ნამატი მთლიანად არის შენარჩუნებული.

ფოტო შ. გოქაძისა.

იზრდება მეცხოველეობის პროდუქტიულობა

ჭიათურა. (საკ. კორ.). სოფელ ითხვისის ვოროშილოვის სახელობის კოლმეურნეობაში სერიოზული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებას და პროდუქტიულობის ზრდას. ოთხმოცი ძროხისათვის აშენდა კაპიტალური ბინა, სადაც ნაკელის გამოსაზიდავად მოწყობილია საჰაერო (საბავირო) გზა. ნახევარი კილომეტრიდან გამოჰყავთ წყალი და მოეწყობა ძროხების ავტომატური სარწყულებლები. აქვე იდგმება სპეციალური მოწყობილობა უხეშის საკვების დაორთქვლისა და დაჭრისათვის.

გასულ წელს 1953 წელთან შედარებით თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიღებულია 276 ლიტრი რძე, ხოლო მეძროხეობის ფერმამ 1954 წლის 1 ოქტომბრიდან 1955 წლის 1 მარტამდე წინა წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით სამჯერ მეტი რძე მიიღო. წელს მიღებული და შენარჩუნებულია წინა წელთან შედარებით ორჯერ მეტი ნამატი — ხბოები და გოჭები. აღსანიშნავია, რომ ფერმას არა ჰყავს არც ერთი ბერწი ძროხა. შემოსავალი მეცხოველეობიდან 1954 წელს წინა წელთან შედარებით ერთიორად გაიზარდა.

განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საკვები ბაზის შექმნას. 1954 წელს 1953 წელთან შედარებით ჩადებული ჰქონდათ 560 ცენტნერით მეტი სილოსი. 1953 წელს დათესილი ჰქონდათ 13 ჰექტარი საკვები კულტურები, 1954 წელს კი დათესეს 34,5 ჰექტარი, ხოლო წელს სასილოსედ დათესავენ 60 ჰექტარ სიმინდს.

მოწინავე ბრიგადების შრომის ანაზღაურება

თეთრი წყაროს. (სპეც. კორ.). მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის პროდუქტიულობის ზრდისათვის გაჩაღებულ სოციალისტურ შეჯიბრებაში შარშან განსაკუთრებით დაწინაურდნენ სოფელ კოდის კოლმეურნეობის პირველი, მეორე და მეოთხე ბრიგადები. მათ დიდი რაოდენობით მიიღეს გამომუშავებულ შრომადღეებზე მარცვლეული, ფული და სხვა პროდუქტები.

კოლმეურნე მ. ჩომახაშვილის ოჯახმა გასულ წელს 1.450 შრომადღე გამოიმუშავა და ერგო 7.975 კილოგრამი მარცვლეული, ფულად — 4.350 მანეთი, 726 ლიტრი რძე, დ. ჯავახიშვილის ოჯახს კი—9.350 კილოგრამი მარცვლეული, ფულად — 5.097 მანეთი, აგრეთვე რძე, ხოსტნეული, ღვინო. ასევე უხვად მიიღო შრომის ანაზღაურება ბ. ეუაშვილის და სხვა მრავალი კოლმეურნის ოჯახმა.

კოლმეურნეობაში კარგად არის განვითარებული მეხილეობა და მევენახეობა. კოლმეურნე მევენახემ დ. დემეტრაშვილმა შარშან 1 ჰექტარზე მოიყვანა 88,9 ცენტნერი ყურძენი, ხილის უხვი მოსავალია მიღებული მეშვიდე ბრიგადაში.

ამ წარმატებებს ისინი წელს უფრო განამტკიცებენ; საუკეთესოდ არის მოვლილი შემოდგომის ხორბლის ჯეჯილი, ბალ-ვენახები, საგაზაფხულო სამუშაოები საუკეთესო აგროტექნიკურ ვადებში ჩაატარეს და თავდადებით იბრძვიან ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის.

უხეირო ხელმძღვანელობის მეფეობანი

უპატრონო ადგილს მოგაგონებთ აქაური კარ-მიდამო. სასოფლო-სამეურნეო მანქანა-იარაღები ცის ქვეშ ყრია, მეცხოველეობის, მეღორეობის, მექათმეობის სადგომები წვიმისაგან ლპება და ფუჭდება. ზოგი ნაგებობისათვის, ჩანს, დიდიხანია არავის უხლია ხელი.

სად ხდება ეს უმსგავსოებანი? — გრაკალში (კასპის რაიონი), არც ისე შორს თბილისიდან.

კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის გადაწყვეტილებათა პასუხად დამხმარე მეურნეობებმაც ახალი ვალდებულებები იკისრეს. თვითეული მშრომელი ყველაფერს აკეთებს იმისათვის, რომ ამრავლოს სოფლის მეურნეობის დოვლათი. გრაკლის მეურნეობაში წლების მანძილზე ძალიან ცუდად მუშაობდნენ. სახელმწიფოს ყოველწლიურად ათეულ ათასობით მანეთის ზარალს აყენებდნენ.

მეურნეობის არსებობის 5 წლის მანძილზე ჯერ არ ყოფილა შემთხვევა, რომ შეესრულებინოთ სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის, მეცხოველეობის პროდუქტიულობის დაწესებული გეგმები. მეურნეობას აქვს 82 ჰექტარი მიწა, რომელიც მთლად სარწყავია. ამ საუცხოო მიწის ორი მესამედზე მეტი წლების განმავლობაში გამოუყენებელია.

ანალიზი გავუკეთოთ უკანასკნელი ორი წლის მუშაობის შედეგებს.

1953 წელს მეურნეობაში სიმინდი ეთესათ მხოლოდ 13,5 ჰექტარზე; თვითეულ ჰექტარზე მიიღეს 6 ცენტნერი. ამ სამუშაოს შესრულებაშიც გადახარჯეს 2 ათასი მანეთი. უმნიშვნელო რაოდენობით ეთესათ ბაღჩეულ-ბოსტნეული კულტურები, მეცხოველეობისათვის საკვები კულტურები. მოსავლიანობის გეგმა სანახევროდაც არ შეუსრულებიათ. მეურნეობას მარტო 1953 წელს 133 ათასი მანეთი ზარალი ჰქონდა.

აქედან მეურნეობის ხელმძღვანელებს სათანადო დასკვნა არც გასულ წელს გაუკეთებიათ, პირიქით, უფრო გაეუარესეს მუშაობა. ცუდი მდგომარეობაა საზოგადოებრივი მეცხოველეობის განვითარებისა და მისი პროდუქტიულობის ამაღლების საქმეში. მეურნეობამ 1953 წელს წველადობის გეგმა 50 პროცენტით შეასრულა, 1954 წელს კი 45 პროცენტით.

გრაკლის მეურნეობა ეკუთვნის საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს. სამინისტროს მუშაკები კი რატომღაც წლების განმავლობაში ითმენენ იმ შეუწყნარებელ ფაქტებს, რაც მეურნეობაში ხდება. ამით გათამამებული ბოროტმოქმედნი თავს არხეინად გრძნობდნენ და ხელს უსინდისოდ აფათურებდნენ სახელმწიფო ქონებაში.

მეურნეობის ყოფილმა დირექტორმა ლ. საყვარელიძემ მარტო შტატის გაბერვით გადახარჯა 34 ათასზე მეტი მანეთი. შარშან მეურნეობის მეცხოველეობის ბრიგადირს ე. ახალაურს ჯაფლანგული აღმოაჩნდა 14.732 მანეთი, საწყობის გამგეს შ. კოპალეიშვილს — 3.665 მანეთი და სხვ.

მიმდინარე წლის იანვრის პირველ ნახევრამდე მეურნეობაში დირექტორად მუშაობდა დ. გოგორიშვილი. მან ძხოლოდ რამდენიმე თვე დაჰყო მეურნეობაში. მისი უთავბოლო მუშაობის შედეგად მეურნეობამ მარტო მემინდვრეობაში 15 ათასი მანეთი ზარალი ნახ. დ. გოგორიშვილმა. ფეიხერად მისცა კასპის სოფლის კოოპერატივს მეურნეობის 16 სული მსხვილფეხა-რქიანი პირუტყვი. თვითნებურად ხდებოდა პირუტყვის დაკვლა. თვითონ დ. გოგორიშვილსაც მიჰქონდა პროდუქტები. იგი დღესაც დაუსჯელია. მასზე შედგენილი საქმე კასპის რაიონის პროკურატურაში უმოძრაოდ დევს.

ამ რამდენიმე ხნის წინათ მეურნეობაში დაიწყეს მეღორეობის ფერმის მშენებლობა. მარტო საძირკვლის ჩაყრაზე 52 ათასი მანეთი დახარჯეს. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს დაუდევრობის შედეგად მშენებლობა ამჟამადაც შეჩერებულია. რამდენიმე ათასი მანეთი კი წყალში ჩაყარეს.

რატომ იფლანგება გრაკლის მეურნეობაში სახელმწიფო ქონება? იმიტომ, რომ საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს მუშაკები ამ მეურნეობაში იშვიათად დადიან. ისინი კარგად არც კი იცნობენ გრაკლის მეურნეობის ეკონომიკას, ხელმძღვანელობენ მარტო კაბინეტიდან. მინისტრი ან მისი მოადგილეები ერთხელაც არ ყოფილან მეურნეობაში. მეურნეობაში წესრიგი რომ არ დამყარდა, ეს იმითაც აიხსნება, რომ დირექტორი ხშირად იცვლება. ხუთი წლის მანძილზე მეურნეობაში 8 დირექტორი გამოიცვალა.

მეურნეობის ცუდი მდგომარეობა ახალმა დირექტორმა ჯერ კიდევ ორი თვის წინათ წერილობით აცნობა საქართველოს სსრ ვაჭრობის მინისტრს ამხ. შ. საბანაძეს და სთხოვდა დახმარებას. მაგრამ დახმარების ნაცვლად ამ მეურნეობის ღორები, ძროხები სოღანლუღის მეურნეობას გადასცეს, მაშინ როცა გრაკლის მეურნეობას მეცხოველეობის განვითარების საუკეთესო პირობები აქვს.

წელს საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტროს სოფლის მეურნეობის წამოწყებათა გაერთიანების სამმართველომ მეღორეობის ფერმის შენობის რემონტისათვის მეურნეობას 28 კუბური მეტრი ხე-ტყის მასალა მისცა. მას შემდეგ ოთხი თვე გავიდა, მასალები მინდორში ყრია, ხოლო მეღორეობის ფერმის შენობა ლპება და ფუჭდება. მეურნეობას შტატში გათვალისწინებული ჰყავს ერთი აგრონომი, მაგრამ მისი აყვანისათვის თავს არავინ იწუხებს.

გრაკლის მეურნეობას სრული შესაძლებლობა აქვს მაქსიმალურად გამოიყენოს თვითეული ჰექტარი მიწა, მოიყვანოს ჰექტარზე 30-40 ცენტნერი სიმინდი, ბოსტნეულის უხვი მოსავალი, თვითეულ საფურაქე ძროხაზე მიიღოს სულ მცირე 2.500 ლიტრი რძე, მომგებიანი გახადოს მეღორეობა და სხვ., მაგრამ ამ შესაძლებლობას როდი იყენებს. სიმინდს თესავენ 30 ჰექტარზე, ბოსტნეულ კულტურებს — 9 ჰექტარზე, დანარჩენი 43 ჰექტარი სარწყავი მიწა კვლავ გამოუყენებელია.

გრაკლის მეურნეობაში შექმნილი მდგომარეობა დამაფიქრებელია. საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრომ, საქართველოს კომპარტიის კასპის რაიკომმა და რაისაბჭოს აღმასკომმა სასწრაფო დახმარება უნდა გაუწიონ ამ მეურნეობას და უზრუნველყონ იქ წესრიგის დამყარება.

შ. ჯოჯუა,

„კომუნისტის" სპეც. კორესპონდენტი.

სიმწიფის ატესტატით—წარმოებაში

მძივზე ასხმულ მარგალიტებს გვანან, მარგალიტივით უბრწყინავთ თვალები და სიცოცხლესა და სიხარულს აფრქვევენ. დარბაზი სავსეა ბედნიერი ცხოვრებით გალაღებული ახალგაზრდებით. ისინი მალე სიმწიფის ატესტატებს მიიღებენ, დამოუკიდებელი ცხოვრების ასპარეზზე გამოვლენ და კომუნიზმის დიადი მშენებლობის ფერხულში ჩაებმებიან. მაგრამ ახლა ერთი აზრი ამოძრავებს ყველას, ერთი მისწრაფება — რით დაიწყონ, რა პროფესია აირჩიონ, სად უფრო მიუწევთ გული და სად უფრო გამოადგებიან სამშობლოს. აი რისთვის შეიკრიბნენ ისინი.

მოსწავლის ფორმაში გამოწყობილი საშუალო ტანის ქერა გოგონა ჩქარი ნაბიჯით მივიდა ტრიბუნასთან, დარბაზს მიაპყრო თვალი და მკვირცხლად დაიწყო:

— ათი წელია ვსწავლობ; ყოველდღიურად რამდენ ახალს ვითვისებ, ცოდნას ვიღრმავებ; ჩემზე ზრუნავენ მასწავლებლები, მშობლები, საყვარელი სამშობლო, და აი ახლა იმაზე ვფიქრობ, რით დაეუფასო ამაგი აღმზრდელებს. თვალწინ მიდგას ჩვენი ქვეყნის სახელოვანი ადამიანები — პავლე ბიკოვი, ლიდია კორაბელნიკოვა, ალექსანდრე ჩუტკიხი, პაშა ანგელინა... ისინი ჩვენი დიდი სამშობლოს სხვადასხვა კუთხეში შრომობენ, მაგრამ ყველა ჩვენგანი იცნობს, ყველა ჩვენგანისათვის ახლობელი და მისაბაძი არიან; მათ ხომ ბეჯითმა და მუყაითმა შრომამ გაუთქვა სახელი. ისინი წარმოებაში აღიზარდნენ, ფაბრიკა-ქარხნებში, საკოლმეურნეო მინდვრებზე მიიღეს ცხოვრების გამოცდილება, აქ გამოიწრთვნენ, როგორც სოციალისტური შრომის ნოვატორები. რატომ არ უნდა მივბაძოთ მათ? მე გადაწყვეტილი მაქვს სიმწიფის ატესტატით წავიდე ქარხანაში სამუშაოდ, დაუსწრებლად დავამთავრო უმაღლესი სასწავლებელი და გავხდე ინჟინერი...

როცა ირინე ფედინა, თბილისის 97-ე საშუალო სკოლის მეათე კლასის მოსწავლე, მტკიცედ, დამაჯერებლად წარმოთქვამდა უკანასკნელ სიტყვებს, ლოჟაში ერთმა ქალიშვილმა ამხანაგს გადაუჩურჩულა:

— მეც ქარხანაში წავედი, როცა არასრული საშუალო სკოლა დავამთავრე. რამდენს ვფიქრობდი მაშინ, თუ სად დამეწყო მუშაობა და...

— გალინა ლოგინოვსკაია! — გამოიძახა თავმჯდომარემ. უმალ წამოდგა გოგონა, საუბარი შეწყვიტა და ტრიბუნისაკენ გაემართა:

— დიდხანს ვფიქრობდი და მეც გადავწყვიტე ქარხანაში დამეწყო მუშაობა. იცით რა კმაყოფილი ვარ! მახსოვს პირველი ხელფასი რომ მივიღე, რაოდენი სიამაყე ვიგრძენი, საზოგადოებისათვის უკვე სასარგებლო ადამიანი გავხდი, სრულფასოვან მოქალაქედ ჩავთვალე თავი. ჩემი პირველი ხელფასი თუმცა არც ისე დიდი იყო, მაგრამ დედას საჩუქრები ვუყიდე, ისიც გავახარე. მალე დავხელოვნდი, გამოცდილებასთან ერთად ხელფასიც მემატებოდა და ახლა ოთხჯერ მეტს ვიღებ, ვიღრე პირველ ხანებში. წარმოებისაგან მოუწყვეტლივ სწავლასაც განვაგრძობ მუშა ახალგაზრდობის სკოლაში. მშობლიურ დახმარებას მიწევს ქარხანა, ყოველგვარ პირობას მიქმნის სწავლასა და შრომაში ახალ წარმატებათა მოსაპოვებლად. გისურვებთ თქვენც გაიზიაროთ შრომის სიხარული!

ახალგაზრდა ორატორის სიტყვები გულში ჩაწვდა მოსწავლეებს და ტაშით დააჯილდოვეს იგი.

— ყოჩაღ, რამდენი შეძლებია ამ პატარა გოგონას! — გადაულაპარაკა ამხანაგს წინა რიგში მჯდომმა მხარბეჭიანმა ახალგაზრდამ, აღელვებული წამოდგა და სიტყვა მოითხოვა.

— სიცოცხლე ადამიანს ერთხელ ეძლევა, — ასე დაიწყო 77-ე სკოლის მოსწავლემ არჩილ ყუბანეიშვილმა, — და იგი ისე უნდა გამოიყენო, რომ არ შეგრცხვეს უმიზნოდ გატარებული წლებისათვის. აი მე სულ მალე სიმწიფის ატესტატს მივიღებ და თუ უმაღლეს სასწავლებელში ვერ მოვხვდი, ჩემი გზა იქნება წარმოებისაკენ.

... როცა 77-ე სკოლაში ხმა გავრცელდა — კომკავშირის 26 კომისრის რაიკომი და განათლების განყოფილება უფროს კლასელთა კონფერენციას აწყობენო, მეათე კლასელმა მარლენ ფერაძემ უმალ იკითხა: — რატომ, რისთვის!?

— რამდენი ფაბრიკა და ქარხანაა მარტოოდენ ჩვენს ქალაქში, რამდენი კაცი მუშაობს იქ, კიდევ რამდენი ახალი შენდება. ჩვენ გველიან ისინი, ჩვენც მოწოდებულნი ვართ სიმწიფის ატესტატით მათ მივაშუროთ, ჩვენი წვლილი შევიტანოთ მრეწველობის აღმავლობისათვის ბრძოლის საყოველთაო-სახალხო საქმეში. რით შეგვიძლია ვემსახუროთ სამშობლოს, შრომის რომელ დარგში ვიმუშაოთ სკოლის დამთავრების შემდეგ? ამაზე უნდა ვილაპარაკოთ ამ კონფერენციაზე. — განუმარტავდა მარლენ ფერაძეს კომკავშირის კომიტეტის მდივანი.

ამ დღეებში ჩაფიქრებული დადიოდა მარლენი, ვერ გადაეწყვიტა გამოსულიყო თუ არა კონფერენციაზე და რა ეთქვა, ახლა კი მხიარული და ხალისიანი გამომეტყველება ჰქონდა, თამამად გამოვიდა ამხანაგების წინაშე და გაკიცხა ზოგიერთი უსაქმური ახალგაზრდა, რომელიც პატიოსან სწავლასა და შრომას ხეტიალსა და ფუქსავატობას არჩევს. სწორედ მათზე ამბობს ახალგაზრდა პოეტი მ. ქვლივიძე:

„ჩვენ ფუქსავატი ცხოვრება დავგმეთ,
ღირსების საქმედ გავხადეთ შრომა,
თქვენ კი რატომღაც ყოველგვარ საქმეს
ლაღიძის წყლებთან არჩიეთ დგომა..."

— ასეთები ბევრი როდია, მაგრამ თითო-ოროლაც არ უნდა იყოს; ჩვენი მომავალი დიდია, ფართო ასპარეზი გვაქვს; ვიშრომოთ, ვისწავლოთ ხალხის საკეთილდღეოდ, სამშობლოს სადიდებლად! მე გაისად დავამთავრებ სასწავლებელს და წარმოებას მივაშურებ.

ორატორები ერთმანეთს ცვლიდნენ ტრიბუნაზე. უფროსკლასელები, სკოლიდან წარმოებაში წასული ახალგაზრდები აღფრთოვანებით უზიარებდნენ ერთმანეთს თავიანთ გადაწყვეტილებებსა და სურვილებს. შეკრებილთ შეკუთარი ლექსით მიმართა მეათეკლასელმა რაჩიკ ათაბეკიანმა. ნორჩი თაობის გაბრწყინებული სახეები, მათი მხურვალე მისწრაფება — ასახელონ შობლიური სკოლა, კომკავშირი — იმაზე მეტყველებს, თუ რა ბზნებარე პატრიოტები ეზრდებიან ჩვენს უძლეველ ქვეყანას.

პრეზიდიუმში მჯდომ მოსწავლეებს შორის იყო ერთი ტანმორჩილი ახალგაზრდა, რომელსაც მკერდს უმშვენებდა სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნიშანი; ეს იყო ჩქაროსანი ხარატი გაბრიელ სუხინი, რომელმაც არასრული საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ სახელოსნო სასწავლებელს მიაშურა და ხარატის პროფესია ითვისა. დაუღალავი შრომით გაბრიელი მალე გვერდში ამოუდგა წარმოების ნოვატორებს. ახლა მას იცნობენ ჩვენი რესპუბლიკის გარეთაც. მან კონფერენციის მონაწილეებს თაკისი მუშაობის გამოცდილება გაუზიარა და მოუწოდა სიმწიფის ატესტატით წავიდნენ წარმოებაში და შრომისაგან მოუწყვეტლივ სწავლაც გააგრძელონ.

უფროსი კლასების მოსწავლეთა კონფერენცია რომ დამთავრდა, დარბაზიდან ახალგაზრდები გამოდიოდნენ ღრმა რწმენით — თავდადებული სწავლითა და შრომით ამაგი დაუფასონ საყვარელ სამშობლოს.

ვ. ჯალაღანია,
ს. არლუნელი.

გუშინ თბილისის კომკავშირის 26 კომისრის რაიკომმა და რაიონის განათლების განყოფილებამ მოაწყეს უფროსი კლასების მოსწავლეთა კონფერენცია. სურათზე: კონფერენციის მონაწილენი დარბაზში, ტრიბუნაზეა 97-ე სკოლის მოსწავლე ირინე ფედინა.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

სსრ კავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის სასოფლო-სამეურნეო დელეგაციების გაცვლის შესახებ

როგორც პრესა იუწყებოდა, 6 მაისს სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტრომ ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს მოსკოვში აცნობა, რომ საბჭოთა სასოფლო-სამეურნეო დელეგაციის წევრებს, რომელიც ამერიკის შეერთებულ შტატებში გაემგზავრება, ექნებათ ოფიციალური სტატუტი და რომ დელეგაციის შემადგენლობაში შევლენ საბჭოთა კავშირის შესაბამის სასოფლო-სამეურნეო უწყებათა და სამეცნიერო დაწესებულებათა წარმომადგენლები, აგრეთვე საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების წარმომადგენლები.

17 მაისს ამერიკის შეერთებული შტატების საელჩომ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს აცნობა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა მზად არის მისცეს სამსახურებრივი ვიზები საბჭოთა დელეგაციის წევრებს დაახლოებით 10 კაცის შემადგენლობით, რათა ჩავიდნენ ამერიკის შეერთებულ შტატებში დაახლოებით 1955 წლის 10 ივლისიდან 10 აგვისტომდე პერიოდში.

საბჭოთა მსახიობების წარმავლება საერთაშორისო მუსიკალურ ფესტივალზე „პრაღის 1955 წლის გაზაფხული"

პრაღა, 18 მაისი. (საკდესი). პრაღაში გრძელდება საერთაშორისო მუსიკალური ფესტივალი „პრაღის 1955 წლის გაზაფხული", რომელშიც მონაწილეობას იღებენ ჩეხოსლოვაკიის, საბჭოთა კავშირის, საფრანგეთის, ჩინეთის სახალხო რესპუბლიკის, ინგლისის, არგენტინის, შვეიცარიისა და ბევრი სხვა ქვეყნის საორკესტრო და ვოკალური კოლექტივები და სოლისტები.

საყოველთაო ყურადღებას იპყრობს საბჭოთა მუსიკოსებისა და მომღერლების გამოსვლები. სსრ კავშირის სახელმწიფო აკადემიური დიდი თეატრის სოლისტებმა გ. პ. ვიშნევსკაიამ და სტალინური პრემიის ლაურეატმა ა. პ. ოგნივცევმა კონცერტი გამართეს სმეტანას სახელობის დარბაზში.

გ. პ. ვიშნევსკაია და ა. პ. ოგნივცევი გამოვიდნენ აგრეთვე სმეტანას სახელობის თეატრში ჩაიკოვსკის ოპერა „ევგენი ონეგინში" და შეასრულეს ტატიანასა და გრენინის როლები. სპექტაკლს დაესწრნენ რესპუბლიკის პრეზიდენტი ანტონინ ზაპოტოცკი, პრემიერ-მინისტრის მოადგილე ვაცლავ კოპეცკი და სხვა ოფიციალური პირები. ჩეხოსლოვაკიის პრესამ მაღალი შეფასება მისცა საბჭოთა მსახიობების შესრულებათა ოსტატობას.

დიდი წარმატებით სარგებლობს ფესტივალ „პრაღის გაზაფხულზე" გამოსვლები საბჭოთა ვიოლენჩელისტების მ. ხომიცერის, მ. აბრაამიანის და ტ. პრიიმენკოსი, რომლებიც არიან ლაურეატები ამას წინათ პრაღაში დამთავრებული ვიოლენჩელისტთა საერთაშორისო კონკურსისა განუშ ვიგანის პრემიაზე.

საფრანგეთის საზოგადოებრიობის წარმომადგენელთა მოწოდება

პარიზი, 18 მაისი. (საკდესი). გაზეთი „ლუმანიტე" იუწყება, რომ საფრანგეთის საზოგადო და პოლიტიკურ მოღვაწეთა ჯგუფმა, მათ შორის ეროვნული კრების სპიკერი თავმჯდომარემ ედუარდ ერიომ, მწერალმა ფრანსუა მორიაკმა, ეროვნული კრების დეპუტატმა ფლორიმონ ბონტმა და სხვებმა მოუწოდეს საფრანგეთის საზოგადოებრიობას, რომ 12 ივნისს მოეწყოს რასიზმის წინააღმდეგ, მშვიდობის დაცვისათვის ბრძოლის ეროვნული დღე.

მშვიდობის მსოფლიო ასამბლეის წინ

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს პრეს-კონფერენცია

ვენა, 18 მაისი. (საკდესი). დღეს ვენაში აუერშპერგის სასახლეში გაიმართა პრესკონფერენცია, რომელიც მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნომ მოიწვია ავსტრიელი და უცხოელი ჟურნალისტებისათვის.

პრეს-კონფერენციაში მონაწილეობა მიიღეს მშვიდობის მსოფლიო საბჭოს გენერალურმა მდივანმა ჟან ლაფიტმა და მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრებმა ემანუელ დ'ასტიე დე ლა ვიეერიმ (საფრანგეთი), იზაბელა ბლუმმა (ბელგია), რიკარდო ლომბარდიმ და აკილ ლეკორონმა (იტალია), ილია ერენბურგმა (სსრ კავშირი), იკუო ოიამამ და კინკაძუ საიონძიმ (იაპონია).

გახსნა რა პრეს-კონფერენცია, დ' ასტიე დე ლა ვიეერიმ განაცხადა, რომ 17 და 18 მაისს ვენაში მიმდინარეობდა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ბიუროს სესია, რომელმაც, კერძოდ, განიხილა საკითხი, რომელიც დაკავშირებულია მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა ჰელსინკის მსოფლიო ასამბლეის მომზადებასთან.

ეს პრეს-კონფერენცია, ხაზგასმით აღნიშნა დ' ასტიე დე ლა ვიეერიმ, მოწვეულ იქნა ავსტრიელი ხალხის სიხარულის დღეებში: ეს-ეს არის დაიდო სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელიც უზრუნველყოფს ავსტრიის თავისუფლებასა და დამოუკიდებლობას.

შემდეგ დ' ასტიე დე ლა ვიეერიმ წაიკითხა მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნოს განცხადება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების ხელმოწერის გამო.

„მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო, — ნათქვამია განცხადებაში, — მიესალმება ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადებას, რომელიც ახალი ნაბიჯია ურთიერთგაგებისა და მშვიდობის გზაზე.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს სამდივნო მხურვალე სალამს უძღვნის ავსტრიელ ხალხს და უსურვებს საუკეთესო წარმატებებს მისი ეროვნული ცხოვრების მშვიდობიან განვითარებაში.

დაე ავსტრიის დამოუკიდებლობა და ნეიტრალიტეტი დაეხმაროს მას დაამყაროს მეგობრული ურთიერთობა მსოფლიოს ყველა ხალხთან და თავისუფლად განვითარდეს მათთან სავაჭრო და კულტურული კავშირი.

მაშინ როცა ძალის პოლიტიკისა და მტრულ ბლოკებად მსოფლიოს გათიშვის პოლიტიკის განხორციელება აძლიერებს ომის საფრთხეს, მაშინ როცა გერმანიის რემილიტარიზაცია და ატომური ომის მომზადება აშფოთებს საერთაშორისო დაძაბულობას, ავსტრიის სახელმწიფო ხელშეკრულების დადება იმ შეთანხმებათა და ხელშეკრულებათა ჯაჭვის რგოლია, რომლებსაც ახალი იმედები მოუტანეს მსოფლიოს ხალხებს.

მოლაპარაკების იდეას, რომელსაც მრავალი წლის მანძილზე სახავდა და იცავდა მშვიდობის მსოფლიო საბჭო, როგორც სადავო საერთაშორისო საკითხების მშვიდობიანი მოწესრიგების ერთადერთ შესაძლო გზას, ახალი წარმატებები მოაქვს. როგორც კი ეს იდეა პოულობს საერთაშორისო საზოგადოებრივი აზრის მხარდაჭერას, იგი დიდმნიშვნელოვან როლს ასრულებს გადაწყვეტილებებში, რომლებსაც მთავრობები იღებენ.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ არც ევროპაში, არც აზიაში არ არის ისეთი სადავო საერთაშორისო საკითხები, რომელთა გადაჭრაც არ შეიძლებოდეს ურთიერთგაგების სულისკვეთებით, დაინტერესებულ მთავრობებს შორის პატიოსანი მოლაპარაკების გზით.

ხალხებს სურთ, რომ სწორედ ასეთი სულისკვეთებით მოეწყოს მომავალი მოლაპარაკება ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის".

ავსტრიასთან სახელმწიფო ხელშეკრულების დადება, აზიისა და აფრიკის ქვეყნების კონფერენცია, რომელიც ამას წინათ მოეწყო ბანდუნგში, და მთელი რიგი ფაქტები, თქვა დ'ასტიე დე ლა ვიეერიმ, მოწმობენ საერთაშორისო დაძაბულობის რამდენადმე შენელებას. მაგრამ მშვიდობას ემუქრება ატომური ომის საფრთხე. ეს საფრთხე კიდევ უფრო გაძლიერდა ომასთან დაკავშირებით, რომ ჩრდილოეთ ატლანტიკის ბლოკის საბჭომ მიიღო გადაწყვეტილება ატომური იარაღის გამოყენების შესახებ.

დ'ასტიე დე ლა ვიეერიმ მოაგონა დამსწრეთ, რომ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს ინიციატივით 22-დან 29 ივნისამდე ჰელსინკში იმუშავებს მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეა, რომელიც დიდ როლს შეასრულებს საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისა და მშვიდობისათვის ბრძოლის გაძლიერების საქმეში.

შემდეგ მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრებმა პასუხი გასცეს ავსტრიისა და უცხოეთის პრესის წარმომადგენელთა მრავალ კითხვაზე და უამბეს მათ, რომ სხვადასხვა ქვეყნაში ფართოდ ემზადებიან მშვიდობისმოყვარე ძალების წარმომადგენელთა მსოფლიო ასამბლეის მოწყობისათვის. ამ ასამბლეას ფართო წარმომადგენლობითი ხასიათი ეკნება. მის მუშაობაში მონაწილეობას მიიღებენ მსოფლიოს ბევრი ქვეყნის სულ სხვადასხვა პროფესიის, პოლიტიკური შეხედულების და რელიგიური რწმენის წარმომადგენლები, თვალსაჩინო მეცნიერები, სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწეები. მაგალითად, საფრანგეთის ეროვნული კრების სპიკერი თავმჯდომარე ედუარდ ერიო დათანხმდა იყოს საფრანგეთის დელეგაციის სპიკერი ხელმძღვანელი ამ ასამბლეაზე.

იაპონიის, ინდოეთის, ბრაზილიის, სამხრეთ ამერიკისა და მთელი რიგი სხვა ქვეყნების დელეგაციების წევრთა შორის არიან პარლამენტების დეპუტატები და სხვადასხვა პოლიტიკური პარტიის ხელმძღვანელები. მექსიკის დელეგაციის მეთაური იქნება ან თვით რესპუბლიკის პრეზიდენტი ან მისი პირადი წარმომადგენელი.

მშვიდობის მსოფლიო საბჭოს წევრებმა ხაზგასმით აღნიშნეს, რომ ასამბლეის მუშაობაში დიდ როლს შეასრულებენ ნეიტრალური ქვეყნების — ავსტრიის, შვეიცარიის, შვეციისა და სხვა ქვეყნების დელეგაციები.

ამ ასამბლეაზე თავისუფალი დისკუსიის მსვლელობაში განხილულ იქნება ატომური იარაღის აკრძალვის, ევროპისა და აზიის ქვეყნებში უშიშროების უზრუნველყოფის, ერებს შორის ნორმალური ეკონომიური და კულტურული ურთიერთობის დამყარებისა და თანამშრომლობის საკითხები, საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია სამხედრო ბლოკების შექმნის წინააღმდეგ ბრძოლასთან, და მრავალი სხვა.

ამერიკის შეერთებულმა შტატებმა კამბოჯას თავს მოახვიეს თავიანთი სამხედრო „დახმარება"

პარიზი, 18 მაისი. (საკდესი). როგორც ფრანს პრესის საგენტო პნომ-პენიდან (კამბოჯა) იუწყება, იქ გამოქვეყნდა ცნობა, რომლის თანახმად კამბოჯასა და ამერიკის შეერთებულ შტატებს შორის დადებულია სამხედრო შეთანხმება. ამ შეთანხმების მუხლები ძირითადად ითვალისწინებენ ამერიკის „დახმარების" მიცემას უშუალოდ კამბოჯის არმიისათვის, რომელიც დღემდე დახმარებას იღებდა საფრანგეთის მეშვეობით. პნომ-პენში გაიგზავნება ამერიკელ საზღვედრო მრჩეველთა ჯგუფი 30 კაცის შემადგენლობით გენერლის მეთაურობით.

„პნომ-პენის დიპლომატიური წრეები და მოსახლეობა, — შენიშნავს საგენტო, — ერთგვარი გაკვირვებით შეხვდნენ ცნობას ამ შეთანხმების აჩქარებით ხელმოწერის შესახებ".

დამთავრდა მოლაპარაკება ინდოეთისა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრებს შორის

დელი, 18 მაისი. (საკდესი). დღეს დელში დამთავრდა ინდოეთის პრემიერ-მინისტრ ნერუსა და პაკისტანის პრემიერ-მინისტრ მოჰამედ ალის მოლაპარაკება, რომელიც 14 მაისიდან მიმდინარეობდა. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე ორივე ქვეყნის შინაგან საქმეთა მინისტრებმა.

ამ მოლაპარაკების დროს განხილულ იქნა სხვადასხვა საკითხი, რომლებიც ინდოეთსა და პაკისტანს აინტერესებთ და, კერძოდ, ქაშმირის პრობლემა, აგრეთვე ორ ქვეყანას შორის სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილების საკითხი.

როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, საბოლოო კომუნიკეში, რომელიც დღეს ერთდროულად გამოქვეყნდა დელსა და კარაჩში, ნათქვამია, რომ „ერთობლივი მოლაპარაკების დროს ქაშმირის პრობლემა განხილულ იქნა მისი ყველა ასპექტით. გადაწყდა ეს მოლაპარაკება გაგრძელდეს მას შემდეგ, რაც ორივე მთავრობა დაწვრილებით განიხილავს სხვადასხვა პუნქტს, რომლებიც განხილულ იქნა ამ მოლაპარაკების დროს".

ამავე დროს მმდინარეობდა სპეციალური მოლაპარაკება ინდოეთის შინაგან საქმეთა მინისტრ გოდვინ პანტსა და პაკისტანის შინაგან საქმეთა მინისტრ ისკანდერ მირზას შორის, რასაც მოჰყვა შეთანხმება სასაზღვრო ინციდენტების თავიდან აცილების შესახებ.

როგორც ინდოეთის საინფორმაციო ბიურო იუწყება, 17 მაისს ორივე მინისტრმა გამოაქვეყნა ერთობლივი კომუნიკე, რომელშიც აღნიშნულია, რომ სასაზღვრო კონფლიქტების თავიდან აცილების საკითხში „მინისტრები შეთანხმდნენ შეძლებისამებრ უმოკლეს ვადაში დამთავრდეს საზღვრის დემარკაცია. გადაწყდა დემარკაციის დამთავრების მოლოდინში მიღებულ იქნას ზოგიერთი ღონისძიება იმ მიზნით, რომ თავიდან აიცილონ შესაძლო კონფლიქტები და ორი ქვეყნის შეიარაღებულ ძალებს შორის შეტაკების საფრთხე".

18 მაისს პაკისტანის პრემიერ-მინისტრი მოჰამედ ალი დელიდან კარაჩს გაფრინდა.

ეიზენჰაუერის პრეს-კონფერენცია

ვაშინგტონი, 18 მაისი. (საკდესი). დღეს პრეს-კონფერენციაზე პრეზიდენტ ეიზენჰაუერს მისცეს მთელი რიგი კითხვები, რომლებიც დაკავშირებულია დიდი სახელმწიფოების განზრახულ თათბირთან და საბჭოთა კავშირ-ამერიკის ურთიერთობასთან.

შეეხო რა ოთხი სახელმწიფოს თათბირის მოწვევის პერსპექტივებს, ეიზენჰაუერმა განაცხადა: „უეჭველია, უნდა ვიმოქმედოთ ფრთხილად, რა იმედებიც უნდა იყოს". დასავლეთი, თქვა მან ამასთან, ოთხი სახელმწიფოს თათბირს უახლოვდება იმაზე უფრო დიდი ძალის პოზიციით, ვიდრე წინათ ჰქონდა.

უპასუხა რა მოლაპარაკებასთან დაკავშირებულ კითხვებზე, ეიზენჰაუერმა განაცხადა, რომ ამერიკის შეერთებული შტატების მთავრობა არ გაებმება „დაშმშინების მახეში".

ეიზენჰაუერმა მნიშვნელოვანი ყურადღება დაუთმო პასუხს იმ კითხვებზე, რომლებიც დაკავშირებულია საბჭოთა ავიაციის ძლიერებასთან.

ალბანეთისა და იუგოსლავიის სავაჭრო შეთანხმების ხელის მოწერა

ბელგრადი, 18 მაისი. (საკდესი). როგორც გაზეთი „ბორბა" იუწყება, გუშინ ბელგრადში ხელი მოაწერეს იუგოსლავიისა და ალბანეთის სავაჭრო და საგადამხდელო შეთანხმებებს, რომელთა ვადაა 1955 წლის 31 დეკემბერი. შეთანხმება ითვალისწინებს მილიონნახევარი დოლარის საქონელგაცვლას.

იუგოსლავია ალბანეთში გაიტანს სხვადასხვა ხარისხის ქაღალდს, ტყავის, საფეიქრო და ქიმიური მრეწველობის ნაწარმს, სხვადასხვა ნედლეულსა და ზოგიერთ სამრეწველო ნაწარმს. ალბანეთი იუგოსლავიას მიაწვდის ნავთობს, ტყავს, ბეწვეულს, მატყლს, ტილოსა და სხვა საქონელს.

ფილმეგი ქართული წარწერებით

დარბაზში სინათლე ჩაქრა. ეკრანზე დაიწყო ახალი მხატვრული ფილმის „ვეფხვების მომზთვინიერებლის" ჩვენება. ფილმი რუსულ ენაზეა გაბმოვანებული, მაგრამ ქართველი მაყურებლისათვის ყოველ კადრს ქვემოთ გაკეთებული აქვს რუსული ტექსტის შესატყვისი ქართული წარწერა.

ფილმს ქართული წარწერით უკვე მეორე წელია უშვებს სსრ კავშირის კულტურის სამინისტროს კინოფიკაციისა და „კინოპროკატის" სამმართველოს საქართველოს რესპუბლიკური კანტორის სუბტიტრების სახელოსნო.

სხვა ენაზე სურათების დუბლირება მოითხოვს დიდ დროსა და თანხებს. დუბლირებისათვის საჭიროა სამი-ოთხი თვე, მაშინ როდესაც ფილმები წარწერებით შეიძლება გაკეთდეს ერთ კვირაში. ამავე დროს ერთი-ხუთად იაფი ჯდება.

წარწერები კეთდება პირდაპირ ეკრანზე გაშვებად მიღებულ ასლზე. სუბტიტრების სახელოსნოს მთავარი რეჟისორი ახალი სურათის გასინჯვის დროს სპეციალური აპარატის საშუალებით ნიშნავს, თუ სად უნდა გაუკეთდეს ესა თუ ის წარწერა. ნუმერაციის მიხედვით დალაგებული ნათარგმნი ტექსტის ანაბეჭდები მიდის ცინკოგრაფიაში, სადაც კინოკადრის ზომის მიხედვით იღებენ კინოფირზე. მიღებული კლიშე გადაეცემა მექანიკური ბეჭდვის საამქროს. აქ სუბტიტრების მექანიკური ბეჭდვის აპარატების საშუალებით, რომლებიც გამოშვებულია ოდესის ქარხანა „კინაპის" მიერ, ხდება კლიშეების ჩაწყობა პირდაპირ კადრებში.

სუბტიტრების სახელოსნოს მიერ ქართული წარწერით უკვე გამოშვებულია ფილმები „კრაზანა", „დიდი ოჯახი", „ზღვის მონადირე", „დაშნა", „ე. ტელმანი — თავისი კლასის შვილი", „შიპკის გმირები" და სხვ., სულ 24 სახელწოდების ფილმი, რომლებიც იგზავნება ჩვენ-ი რესპუბლიკის ქალაქებსა და სოფლებში.

ლ. ხუბულური.

* * *

სურათზე: ლაბორანტი ლ. მოგელია (მარცხნივ) და ოპერატორი მ. ასლამაზოვი მექანიკური ბეჭდვის მანქანით ბეჭდავენ კინოფილმ „კრაზანას" ქართული წარწერებით.

ფოტო შ. გოჭაძისა.

ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 10 წლისთავისადმი მიძღვნილი საღამო

20 მაისს თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო თეატრის შენობაში უცხოეთთან კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოება აწყობს ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების ათი წლისთავისადმი მიძღვნილ საღამოს.

მოხსენებას „ფაშისტური ოკუპაციისაგან ჩეხოსლოვაკიის განთავისუფლების 10 წელი" გააკეთებს საქართველოს სსრ კულტურის მინისტრი ა. ლ. გუნია.

დასასრულ გაიმართება კონცერტი ხელოვნების ოსტატთა მონაწილეობით. (საკდესი).

ქრონიკა

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დანიშნა:

ბ. კ. მეფარიშვილი — საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილედ;

შ. ს. გაგოშიძე — საქართველოს სსრ სასურსათო საქონლის მრეწველობის მინისტრის მოადგილედ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ გაათავისუფლა:

გ. ე. ალავიძე საქართველოს სსრ საშენ მასალათა მრეწველობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან;

ი. ს. ხარისჩარიშვილი — საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილის თანამდებობიდან სხვა სამუშაოზე გადაყვანასთან დაკავშირებით.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოში

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ დაადგინა:

1. საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შ. ქ. ღამბაშიძის დასაკრძალავად შეიქმნას კომისია ამბაგების ვ. ი. ჭიაურელის (თავმჯდომარე), პ. მ. კანდელაკის, ი. ს. გვინჩიძის, ვ. ი. ანჯაფარიძის, ვ. დ. ეპიტაშვილის შემადგენლობით.

2. შ. ქ. ღამბაშიძე დაიკრძალოს დიდუბის საზოგადო მოღვაწეთა პანთეონში.

3. შ. ქ. ღამბაშიძის დაკრძალვა მოხდეს სახელმწიფოს ხარჯზე.

შ. ქ. ღამბაშიძის დაკრძალვის მომწყობი კომისიისაგან

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, საქართველოს სსრ სახალხო არტისტის შალვა ქსენოფონტეს-ძე ღამბაშიძის სამოქალაქო პანაშვიდი შედგება 20 და 21 მაისს საღამოს 8 საათზე, განსვენებულის ბინაზე — ლენინის ქ. № 63, ბინა 57.

22 მაისს კოტე მარჯანიშვილის სახელობის თეატრის შენობაში 12 საათზე დაიწყება შესვლა განსვენებულთან გამოსათხოვებლად. 3 საათზე შედგება სამოქალაქო პანაშვიდი, 4 საათზე გამოსვენება.

დაკრძალვა დიდუბის პანთეონში.

რედაქტორი ნ. ჯაში.

დისერტაციების დაცვა

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო ინსტიტუტი

(ზელიქიშვილის ქუჩა № 10)

ა. წ. 31 მაისს დღის 1 საათზე მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავენ:

1. **ალექსანდრა მიხეილის ასული იოსავა**

თემაზე: „მასალები შინაგანი მედიცინის (თერაპიის) ისტორიისათვის საბჭოთა საქართველოში 1921-1950 წწ."

2. **ნელი ვასილის ასული ჯიგლაძე**

თემაზე: „ქსოვილით მკურნალობის გავლენა სისხლისა და ძვლის ტვინის შემადგენლობაზე".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

ა. წ. 31 მაისს დღის 2 საათზე ისტორიულ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

დიმიტრი ნიკოლოზის-ძე ნინუა

თემაზე: „Упразднение владетельской власти в Абхазии и установление в ней „русского управления".

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

(ძერჟინსკის ქ. № 8)

სამშაბათს, 31 მაისს, დღის 11 საათზე ფილოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციას დაიცავს

არჩილ არჩილის-ძე ალხაზიშვილი

თემაზე: „ქართული მარტივი წინადადების ინტონაცია".

ნაშრომის გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში, (ძერჟინსკის ქ. № 8, II სართული).

ღღეს

თბილისის თეატრებში

რუსთაველის სახელობის — „ყაჩაღები, **მარჯანიშვილის სახელობის**—„მაია წყნეთელი, **გრიბოედოვის სახელობის** — ერთი სიყვარულის ისტორია, **სომხური დრამის** — სასიძოები, **მუსიკალური კომედიის** — ჩვენი ნაცნობები, **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — გლახის ნაამბობი (აბონემენტი № 2, 6 ს.), **თოჯინების ქართული** — ბურატინოს თავგადასავალი (10 ს. და 2 ს.).

კინოთეატრებში

რუსთაველის სახელობის, ამირანი, თბილისი, 26 კომისრის სახელობის, ისანი, პლეხანოვისა და ვოროშილოვის სახელობის კლუბები — კრაზანა, ოქტომბერი, სპარტაკი—ისინი მოდიან წყვდიადიდან, **ოფიცერთა სახლი, კიროვის სახელობის პარკი** — მოცეკვავე მეკობრე, **კოლხიდა** — საყვარელი მეგობარი, **კოლმეურნე** — ჯაშუშობის ქსელი, **გორკის სახელობის** კლუბი — ანტუანი და ანტუანეტა, **კომუნარების ბაღი** — ორი ბიგხი მიწა, **დიდუბე** — დობილები.

დაიწყო ხელმოწერა ცენტრალურ და ადგილობრივ ჟურნალ-გაზეთებზე 1955 წლის მეორე ნახევრისათვის დამტკიცებული კატალოგის მიხედვით.

„სოიუზპეჩატი".

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრში

კვირას, 22 მაისს, დღის წარმოდგენა

„მაია წყნეთელი" მოხსნილია.

შეძენილი ბილეთები დაბრუნებულ უნდა იქნას თეატრის სალაროში საღამოს წარმოდგენა „მაია წყნეთელის" ბილეთებზე შესაცვლელად არაუგვიანეს 22 მაისის დღის 12 საათისა.

სსრ კავშირის ვაჭრობის სამინისტრო „სოიუზპოსილტორგი"

დონის როსტოვის ბაზას შეუძლია მოქალაქეებისაგან მიიღოს შეკვეთები და საფოსტო ამანათების სახით გაუგზავნოს მათ:

რადიოგიგიენები „ზოსკვიჩი", რომელიც მუშაობს ცვალებადი დენის ელექტროქსელზე 110, 127, 220 ვოლტის ძაბვით — 222 — 00.

„სევერის" მარკის დინამიკური ხმამაღლა მოლაპარაკე, რომელსაც აქვს ხმის ხმამაღლის რეგულატორი და განკუთვნილია რადიოსატრანსლაციო ქსელის გადმოცემათა მისაღებად — 59 — 60.

ფოტოგამადიდებელი „პუ — 1", რომელიც მუშაობს ცვალებადი დენის ელექტროქსელზე 110, 127, 222 ვოლტის ძაბვით ან მუდმივი დენის წყაროთი 6 ვოლტის ძაბვით. ფოტოგამადიდებელი დაკომპლექტებულია ობიექტივით „ინდუსტარ — 22, უ" — 334 — 50.

ფოტოგამადიდებელი „პუ — 1" უობიექტივოდ — 271 — 00.

უნივერსალური ელექტროდასაკრავი „უპ — 1", რომელიც რადიომიმღების მეშვეობით ახმოვანებს, უკრავს ჩვეულებრივ და დიდხანს საკრავ გრამფირფიტებს, მუშაობს ცვალებადი დენის ელექტროქსელზე 110, 127, 220 ვოლტის ძაბვით — 334 — 00.

ხარკოვის ქარხნის მამაკაცის ველოსიპედი „ვ — 110" 717 — 40-დან 827 — 00-მდე.

(ველოსიპედის ღირებულება დამოკიდებულია იმაზე, აქვს თუ არა მას ელექტრომოწყობილობა, მრიცხველი, სარკე, არის თუ არა ქრომირებული, როგორ არის შეღებილი).

ხარკოვის ველოქარხნის საგზაო მსუბუქი ველოსიპედი ტურისტი „ვ — 32" (სამარულო ტიპისა), დაკომპლექტებულია ფარიანი ველოდინამითი — 1.002 — 00.

ლვოვის ქარხნის ქალის ველოსიპედი „ვ-22" ელექტრომოწყობილობით — 835 — 60.

ველოსიპედი „ორლიონოკ" „ვ-72" ვაუეზისათვის ელექტრომოწყობილობით — 594 — 00.

ველოსიპედი „ლასტოჩკა" „ვ-82" მოზარდი ქალიშვილებისათვის ელექტრომოწყობილობით — 610 — 00.

გორკის ავტოქარხნის ორთვლიანი საბავშვო ველოსიპედი „ზიმ" — 180 — 00.

ლენინაკანის ქარხნის ორ და სამთვლიანი საბავშვო კომბინირებული ველოსიპედი, რომელსაც მესამე თვალი ეხსნება — 196 — 00.

სარატოვის ქარხნის კეროგაზი — 80 — 00.

ნაჩვენებ ფასებში შედის შეფუთვისა და გადაგზავნის ხარჯები. შეკვეთები გაიგზავნება:

- ყველა სპორტული მარკის ფოტოაპარატები, ფოტომასალები, მოტორ და ველოშინები ყველა ზომის კამერებით, ვიოლინო, გიტარა, მანდოლინა, ბალალაკა, ელექტროჩიდანი, ელექტროუთო, ელექტროქურა, ხორცსაკეპი, პრიმუსი, დანა-ჩანგალი, კოვზები და სხვა საქონელი.

შეკვეთა სრულდება სულ მცირე 50 მანეთის ღირებულებისა.

ფასდადებით საქონელი არ იგზავნება.

შეკვეთები გამოგზავნეთ ამ მისამართით:

Г. Ростов Н/Д, Московская ул. № 88, „Союзпосылторг".

ქუთაისის ალ. ფულუკიძის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიური ინსტიტუტი აცხადებს, რომ ინსტიტუტის კურსდამთავრებულთათვის (როგორც სტაციონარზე, ისე დაუსწრებელ განყოფილებაზე) სახელმწიფო გამოცდები იწარმოებს მომდინარე წლის 1-დან 30 ივნისამდე. სახელმწიფო გამოცდების ჩაბარების მსურველმა კურსდამთავრებულებმა გამოცდაზე დაშვების შესახებ დირექციას განცხადებით უნდა მიმართონ ა. წ. 25 მაისამდე.

საქართველოს სსრ პოლიტიკური და მეცნიერული ცოდნის გამავრცელებელი საზოგადოების წევრთა საყურადღებოდ

მომდინარე წლის 20 მაისიდან 1 ივნისამდე დილის 9 საათიდან საღამოს 6 საათამდე საზოგადოების გამგეობის შენობაში (ჯაფარიძის ქ. № 4, ოთახი № 5) იწარმოებს ახალი საწევრო წიგნაკების გაცემა.

წიგნაკების გამოცვლისას საზოგადოების წევრმა უნდა წარმოადგინოს ძველი ნიმუშის წიგნაკი.

საზოგადოების გამგეობა.

ძმა დავით ფირალიშვილი ოჯახით და ნათესავებით იუწყება

ეკატერინე მიხეილის ასულ ფირალიშვილი-ბახტაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-V, 8 ს. გამოსვენება 22-V, 3 ს. შროშის ქ. № 11.

მეუღლე თამარ, შვილები ქეთევან, ფრიდონ ოჯახებით იუწყებიან

მიხეილ ივანეს-ძე ყიფშიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-V, 5 ს. ზესტაფონში, გამოსვენება ბინიდან, სტალინის ქ. № 60.

მეუღლე ივდიტორი, შვილები ეკატერინე, ბაბული ოჯახებით იუწყებიან

ივლიანე ბესარიონის-ძე კახიძის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-V სოფელ ქვედა ალის უბანში (ზესტაფონის რაიონი).

და იულია, ძმა ალექსანდრე ოჯახებით იუწყებიან

მარიამ ბართლომეს ასულ ხარებავას

გარდაცვალებას. დაკრძალვა 21-V, 6 ს. ქ. რუსთაველში, გამოსვენება კონსტიტუციის ქ. № 44.

საქართველოს კპ საგარეჯოს რაიკომი და მშრომელთა დეპუტატების რაისაბჭოს აღმასკომი იუწყებიან

გოდერძი გიორგის-ძე გოდერძიშვილის

გარდაცვალებას. დაკრძალვა 22-V, 5 ს. საგარეჯოში.

მეუღლე მარო, შვილები ანო, გიორგი, ალექსანდრა, ეთერ ოჯახებით იუწყებიან

გიორგი იაკობის-ძე ციცაგის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-V, 8 ს. გამოსვენება 21-V, 6 ს. ჩოდრიშვილის ქ. № 17.

შვილები ქეთო, სუსანა, ზინა, ნელი ოჯახებით იუწყებიან

ვერა ტარიელის ასულ გოგიბერიძე-მგელაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20-V, 8 ს. გამოსვენება 21-V, 6 ს. ნაფარეულის ქ. № 5.

საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტი

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გეოგრაფია-გეოლოგიის ფაკულტეტის თანამშრომელთა კოლექტივი იუწყება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის, პროფესორ

ივანე რაჟდენის-ძე კახაძის

გარდაცვალებას. პანაშვიდი 20, 21-V, 8 ს. ივანიძის ქ. № 2.

მარჯანიშვილის სახელობის სახელმწიფო თეატრის კოლექტივი იუწყება ამავე თეატრის ერთ-ერთი ფუძემდებლის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატის, რესპუბლიკის სახალხო არტისტის

შალვა ქსენოფონტეს-ძე ღამბაშიძის

გარდაცვალებას.

რედაქციის, გამომცემლობისა და სტამბის მისამართი: თბილისი ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის მოადგილეების — 3-63-03, 3-82-05, პასუხისმგებელი მდივნის —